სახ. სახ. რესპუბ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 124 (20165) — კვირა, 29 მაისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

28 მაისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმი. პლენუმზე მიწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომის უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, სახალხო განათლების, კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის განხორციელებისა და იდეოლოგიური საქმიანობის განახლების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ხ. ემირიძე, „თბილისქალაქმშენის" გაერთიანების № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა ბრიგადირი ა. დ. დიხტიარი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. ს. ამაღლობელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ო. გ. ვარძელაშვილი, ცხინვალის ქარხანა „მინანქარსადენის" მუშა მ. ვ. ქოქოევა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ო. ანდრიაძე, ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორი შ. ა. ამონაშვილი, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ქოჩოიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ა. მ. აფაქიძე, საქართველოს სსრ სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ზ. ენდელაძე, მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ა. იმანოვა, ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი, მწერალი ა. ს. სულაკაური, ქალაქ ქუთაისის № 112 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი გ. ნ. ესაძე, პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. გ. შანიძე.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა დაამტკიცა სტატისტიკური ანგარიში 1988 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის შესახებ.

გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

გაითვალისწინეს რა შენიშვნები და წინადადებანი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა პრესაში წინასწარ გამოქვეყნებული საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატობის კანდიდატების სიის გამო, მასში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებანი. ფარული კენჭისყრის დაწყების წინ პლენუმზე გაიმართა მთლიანად სიის და დელეგატობის ცალკეული კანდიდატების საქმიანი, დაინტერესებული განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა კაცმა. ორატორებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ ყველა წარმოდგენილი კანდიდატურა ღირსია მიიღოს რესპუბლიკის კომუნისტთა ნდობის მანდატი, პირნათლად წარმოადგენს საქართველოს პარტორგანიზაციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფორუმზე.

დახურული (ფარული) კენჭისყრის შედეგებით 106-ვე კანდიდატი აირჩიეს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატად.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გ. ნ. ენუქიძე გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ნ. ა. ფოფხაძე, იგი განთავისუფლებულია გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის თანამდებობიდან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაიყვანა გ. გ. გუმბარიძე — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის თანამდებობიდან.

სამსახურის ახალ ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით, პლენუმმა გაათავისუფლა კ. ა. კოჩეტოვი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ი. ნ. როდიონოვი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია ა. გ. ჩეხოევი — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმმა გაათავისუფლა ვ. ი. ალავიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან, ფ. ს. სანაკოევი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ნ. შ. ჯანბერიძე გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ვ. გ. ლორთქიფანიძე.

პლენუმმა ბ. ზ. ბარსუკოვი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ა. ა. ალახვერდიევი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია გ. ს. ჯიქია.

პლენუმმა თ. დ. რამიშვილი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად დამტკიცებულია გ. ს. ბაკურაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე პ. ი. სლეზკო, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი კ. ზ. ტერეხი, გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას" მთავარი რედაქტორი ა. ა. ბარანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ფ. სელივანოვი. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიისაგან XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატები

აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი

აბზიანიძე გივი სერგის ძე — პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

აბრამიშვილი ვაჟა პავლეს ძე — პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი

აბულაძე თენგიზ ევგენის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი

ადლეიბა ბორის ვიქტორის ძე — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

აიბა მაკიბეი კაცის ძე — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

აივაზოვი გიუნდუზ ტაგი ოღლი — მარნეულის „საქარამადნეულის" საწარმოო გაერთიანების ზეინკალი

ამონაშვილი შალვა ალექსანდრეს ძე — ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორი

ანდრიაძე ირაკლი ონისიმეს ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

არაბიძე ვახტანგ ივანეს ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი

არშბა რუსლან არდევანის ძე — ტყვარჩელის შახტსამმართველოს გვირაბგამყვანი

არხიპოვი ანატოლი პეტრეს ძე — გენერალ-ლეიტენანტი

ახალაშვილი ავთანდილ გიორგის ძე — საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავების კომბინატის დირექტორი

ბაზოვსკი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საბაჟო კონტროლის მთავარი სამმართველოს უფროსი

ბარანოვი ალექსანდრე ალექსის ძე — გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას" მთავარი რედაქტორი

ბერაია პეტრე შალვას ძე — პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ბერიძე ემზარ ალექსანდრეს ძე — პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი

ბიგვავა გულნა სარდიონის ასული — ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ბუთხუზი ნათელა კიმოს ასული — კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი; საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივნის მოადგილე

გაბელაშვილი ჯუმბერ გედევანის ძე — ტყიბულის „დასავლეთის" შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი

გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი

გელაშვილი დარეჯან გიორგის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" მუშა

გილაშვილი პავლე გიორგის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გოგებაშვილი ირა შარდენის ასული — გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მწველავი

გოგიტიძე გულნარა ხასანის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე

გოდუნოვი იური ალექსანდრეს ძე — თბილისის სამშენ მასალათა კომბინატის ხარატი

გორგაძე ლენა იოსების ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე

გუგუჩია ჯოტო იოსების ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

გუმბარიძე გივი გრიგოლის ძე — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

გუნავა გურამ იოსების ძე — პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი

დათაშვილი ალექსანდრე იოსების ძე — „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს ბრიგადირი

დათოშვილი დავით ზოლომონის ძე — საწარმოო გაერთიანება „თბილტრიკოს" გენერალური დირექტორი

დათუაშვილი ზინი ზაქარიას ასული — რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხნის მუშა

დემურჩიევა ფლორა მუსა ყზი — მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა

დიხტიარი ანატოლი დიმიტრის ძე — თბილისის №5 სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა ბრიგადირი

დოლიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე — ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატი

დუბინინი იური ვლადიმერის ძე — სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში

დუმაჩოვი ანატოლი პანტელეიმონის ძე — სსრ კავშირის პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე

ემირიძე გურამ ხუხეინის ძე — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ენუქიძე მაყვალა ალექსანდრეს ასული — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" საცდელი ქარხნის მუშა, საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი

ვარადაშვილი ალექსი ნიკოლოზის ძე — ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის კოლმეურნეობის ბრიგადირი

ზორინა ვიოლეტა სიმონის ასული — თბილისის საფეიქრო საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის" ბრიგადირი

ზუხბაია ოთარ გიორგის ძე — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

თავხელიძე ალბერტ ნიკიფორეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

თელიანიძე თევდორე კონსტანტინეს ძე — თეთრი წყაროს რაიონის ირაგის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი

თორდია პანტიკო შალვას ძე — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

ინაური ალექსი ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე

კაკაშვილი ფატმან პართენის ასული — ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულას კოლმეურნეობის მეჩაიე

კაპანაძე გიორგი ზინიას ძე — „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანების გვირაბგამყვანი

კახიშვილი ნუგზარ ილიას ძე — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის" გენერალური დირექტორი

კეთილაძე ინეზა გივის ასული — წულუკიძის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშა

კობახია ვალერიან ოხმანის ძე — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კოზაკი ვასილ იოსების ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენაერთის პოლიტგანყოფილების უფროსი

კრიხელი ლეილა ალექსანდრეს ასული — თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მქსოველი

ლორთქიფანიძე ტარიელ ვლადიმერის ძე — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

მაისურაძე ამირან შოთას ძე — ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის მუშა.

მამაცაშვილი სოფიო იასონის ასული — ზნაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი

მამრაში ნოდარ დავრიშის ძე — თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" მეინსტრუმენტე ზეინკალი, საამქრო პარტორგანიზაციის მდივანი

მანანიანი მარიამ პოღოსის ასული — ახალქალაქის რაიონის ალასტნის საბჭოთა მეურნეობის მწველავი

მარგველიძე ჯემალ ვარდენის ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

მარკინი კუზმა საველის ძე — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

მენთეშაშვილი თენგიზ ნიკოლოზის ძე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მესხია ტრისტან აკაკის ძე — ზუგდიდის საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" მუშა

მეტონიძე გურამ არჩილის ძე — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ბრიგადირი

მირზოიანი არმენ ლევონის ძე — თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების მღარავი

ნავროზაშვილი ნელი გიორგის ასული — ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავი

ნანიევი პავლე ალექსანდრეს ძე — ჯავის რაიონის კვაისის მადანსამმართველოს სამთო საამქროს ოსტატი

ნიკოლსკი ბორის ვასილის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

ნოვიკოვი ანატოლი ნიკოლოზის ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი

ორლოვა სვეტლანა კონსტანტინეს ასული — თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მტვიფრავთა ბრიგადირი, საამქრო პარტორგანიზაციის მდივანი.

ოსიპოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — პარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი

პაიჭაძე თამაზ ილიას ძე — თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

პატიაშვილი ჯუმბერ ილიას ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

პეტროვსკი იოკუბას კირილეს ძე — ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი

რუსია გურამ სევასტის ძე — „საწარმოო გაერთიანება" ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმართველი

როდიონოვი იგორ ნიკოლოზის ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

სარიშვილი დავით ეფრემის ძე — პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი

საჯაია ნუგზარ რაჟდენის ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

სირაძე ვიქტორია მოსეს ასული — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე

სლეზკო პეტრე იაკობის ძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე

სპანდერაშვილი თამაზ მიხეილის ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე.

სტეფნაძე ტელმან ჩურგის ძე — ხაშურის რაიონის ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი

სტურუა რობერტ რობერტის ძე — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

ტერეხი კონდრატ ზიგმუნდის ძე — სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი

ფუტკარაძე ნათელა ალის ასული — შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, ბრიგადის პარტორგანიზაციის მდივანი

ქაშაკაშვილი გურამ ბენედიქტეს ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი

ქემაშვილი ვერა ბათურის ასული — თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ოსტატის თანაშემწე

ქორიძე ჯუმბერ თევდორეს ძე — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, დეპოს პარტკომის მდივნის მოადგილე.

ღვედაშვილი მიხეილ გიორგის ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის ბრიგადირი

ყაჭეიშვილი მავლინა ვიქტორის ასული — ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის მერგოლური

ყურაშვილი ზეინაბ გივის ასული — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „გლდანის" მკერავი

შამუგია იამზე ვლადიმერის ასული — გალის რაიონის ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე

შევარდნაძე ედუარდ ამბროსის ძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

შინქუბა ბაგრატ ვასილის ძე — აფხაზეთის სახალხო პოეტი

ჩერქეზია ოთარ ევტიხის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩერქეზიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი

ჩეხოევი ანატოლი გიორგის ძე — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ჩიგოგიძე გურამ იაგორის ძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩიტიშვილი როენა შალვას ასული — თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომის" მუშა

ჩხეიძე ზურაბ ამბროსის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ცირამუა ეთერ სამსონის ასული — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კოლმეურნეობის მეჩაიე

წითლიძე გივი აკაკის ძე — მახარაძის რაიონის აგროსამრეწველო ფირმა-კოლმეურნეობა „ნატანების" თავმჯდომარე

ჭანტურია ვალერი ანდრიას ძე — წალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი

ჭილვარია ჯემალ კონსტანტინეს ძე — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი.

ხანანაშვილი მიხეილ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ხარაიშვილი დოდო სიმონის ასული — ცხაკაიას ხალიჩის კომბინატის მრთველი.

გუშინ, დღეს, ხვალ
ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ხუთი თვის გეგმა შესრულებულია

რუსთავის მრეწველობამ გუშინ, 28 მაისს შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა. ამ წარმატებაში კვლავაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ქალაქის ფლაგმანმა საწარმოებმა: მეტალურგიულმა ქარხანამ, საწარმოო გაერთიანებებმა „აზოტმა" და „ქიმბოჭკომ", ამწესაშენებელმა და ცემენტის ქარხნებმა, სხვა შრომითმა კოლექტივებმა. ქალაქში წლის დამდეგიდან არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო არ არის.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ჩაბმული არიან XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების, ფასიანი მომსახურების და მიწოდების დავალებები. მთლიანად ხუთ თვეში გამოშვებული იქნება 7 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

▼ ▼

ნარჩენები ეკონომიკის სამსახურში

სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობის მიმდინარე ეტაპზე, ზესტაფონის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ქარხანა „საქკაბელის" კოლექტივის ამოცანაა წარმოების რენტაბელობის გაზრდა.

შრომის ნაყოფიერების მატებისა და თვითღირებულების შემცირების თვალსაზრისით გაწეული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქარხანაში ნედლეულის ყაირათიანი ხარჯვა და წარმოების ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენება წარმოადგენს.

ახლა ქარხანაში საკუთარი ძალებით შექმნილი სპეციალური კონსტრუქციის არასტანდარტული მოწყობილობა უზრუნველყოფს 100-120 ტონა საიზოლაციო ნარჩენების გადამუშავებას და მისგან ფართო მოხმარების საქონლის დამზადებას.

ნარჩენების გამოყენება საწარმოს წლიურად 80 ათას მანეთ მოგებას აძლევს.

შრომითი კოლექტივის მისწრაფება უნარჩენო წარმოებისათვის გამოხატულებას პოვებს საბოლოო შედეგებში. სკკპ XIX კონფერენციის ვახტზე მდგომი ქარხნის კოლექტივი წლითიწლობით აუმჯობესებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ყოველი კვარტალის შედეგების მიხედვით იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საკონფერენციო ვახტი

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავი შრომითი ვახტი ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მშრომელებისათვის მეტად რთულ პირობებში დაიწყო. ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აქ წლევანდელი ზამთრის უჩვეულო ყინვებმა დააზიანა.

ბუნების ჭირვეულობას ოჩხამურელებმა ერთსულოვანი თავდადებული შრომით უპასუხეს. ბუჩქების საგულდაგულო დამუშავება, პლანტაციებში სასუქების დამატებითი დოზების შეტანა წლევანდელ სეზონში წარმატების საშუალებას აძლევს მათ. მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ შეასრულონ საგეგმო დავალება და მოკრიფონ 4.100 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: აგრონომი გურამ ნიჟარაძე ამოწმებს ანა ასამბაძისა და სონია გორგაძის მიერ მოკრეფილი ჩაის დუყების ხარისხს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

მოსკოვი, 28 მაისი. (საკდეს). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხმად დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება მათი საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ვაშინგტონში 1987 წლის 8 დეკემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა გადაიცა საბჭოთა ტელევიზიით.

ექო: სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი

მეცნიერების მიღწევები — წარმოებაში

— **თანამედროვე** ეტაპზე სხვა ალტერნატივა არა აქვს ხელსაწყოთმშენებლობის, ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიის, გათვალისწინებული თვისებების მქონე მასალების შექმნის დარგში საბჭოური მეცნიერების უახლეს მიღწევათა დაუფლებას, პრაქტიკაში უსწრაფესად დანერგვას. ეს ხაზგასმით არის აღნიშნული XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებშიც, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თეიმურაზ ანდრონიკაშვილმა, — აკადემიური მეცნიერება, მათ შორის ქართული მეცნიერებაც, ჯერ კიდევ უნდა გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. მაგრამ უკვე დღეს ვეძებთ წარმოებასთან ურთიერთობის განმტკიცების ყველაზე ოპტიმალურ გზებს, „სამეურნეო პროდუქციის" შემკვეთებს. ჩვენი ინსტიტუტი თანამშრომლობს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშაკებთან. ვეხმარებით მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული სიმძლავრენი.

არც ისე დიდი ხნის წინათ მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი, პერსპექტიული სახეობის სასუქი „ცეონაკი". ეს არის ბუნებრივი ცეოლითის თავისებური ფოროვანი კენჭები, რომლის მარაგით მდიდარია რესპუბლიკა. ჩვენ ვისწავლეთ მათი ნარჩენებით მეღორეობის ფერმების „გაჯერება", რომლებიც აჭუჭყიანებდნენ გარემოს. ასე მივიღეთ სასუქი, რომლის შეტანა ნიადაგში, თურმე, შეიძლება რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ცეოლითი, რომელსაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი თვისებები აქვს, ზუსტად ულუფების მიხედვით მცენარეთა ფესვებს აწვდის მასში შემავალ ყუათიან ნივთიერებებს. ამით ყაირათიანად იხარჯება მათი „ყულაბიდან" ეს ნივთიერებანი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გორდაბნისა და კასპის რაიონებში მოწყობილმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ასეთი სასუქი 20-25 პროცენტით ზრდის ბოსტნეულისა და სიმინდის მოსავლიანობას. ახლა გამოირკვა, რომ ნარჩენებთან ცეოლითების ამგვარი ნარევი რუსთაველ ქიმიკოსთა პოლიმერული კომპოზიციების კომპონენტი შეიძლება გახდეს. აქ ექსპერიმენტებმა ცხადყო ერთობლივად მიგნებული გადაწყვეტის პერსპექტიულობა. მომავალში ორივე ეს სამეცნიერო ნამუშევარი შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ინსტიტუტს გადაწყვიტოს კვლევისათვის საჭირო სახსრების გამოძებნის პრობლემა.

●

თუ უკეთ იმუშავებ — მეტს მიიღებ

მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გაზრდის გზით შეასრულებს თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მკერავ-მოტორისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. მ. პანკოვა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს—გეგმის გადაჭარბებით დაამზადოს ათიათასობით მანეთის პროდუქცია.

— **ქალბატონო ნინო, ამგვარ ვალდებულებებს ხომ წინათაც კისრულობდით. არის რაიმე განსხვავება იმ, წინანდელ ვალდებულებებსა და ახლანდელს შორის?**

— არის და მეტად არსებითიც. წინათ ვცდილობდით გეგმა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, მთლიანად და გადაჭარბებით შეგვესრულებინა. რა გზით, როგორი იქნებოდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, არავინ დაგვიდევდა. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე საწარმოს გადასვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მომხდარი ცვლილებები ზუსტად არის ჩამოყალიბებული XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში. თითოეულმა ჩვენგანმა უკვე იგრძნო, რომ, როგორც ამ თეზისებშია ნათქვამი, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები, თვითმმართველობა ხელ-ფეხს უხსნის შრომითი კოლექტივების ინიციატივას, ულვიძებს სურვილს იმუშაონ მაქსიმალური უკუგებით, ხელს უწყობს გათანაბრების ყველა ფორმის აღმოფხვრას. სწორად აღინიშნა ისიც, რომ დადებითი ძვრები უკვე აშკარაა. დაე, ეს თუნდაც პირველი ნაბიჯები იყოს — ორიოდე სამი წელი საკმარისი არ არის ძირეული ეკონომიკური ცვლილებებისათვის.

— **რით გამოიხატა ეს ძვრები?**

— თეზისები პასუხს სცემს ამ კითხვაზე. აღნიშნულია, რომ შეძლებით შევაჩერებინა ნეგატიური ტენდენციების ზრდა, დავძლიეთ ისინი და შევქმნით წანამძღვრები სტაბილური წინსვლისათვის. რაც კონკრეტულად ჩვენს გაერთიანებას შეეხება, ვიტყვი: მიმდინარე წელს მკვეთრად შემცირდა რეკლამაციები, ნაწარმის დაწუნება. გაუმჯობესდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა პროდუქცია. ყველა მიხვდა: კარგად რომ გამოიმუშაო, კარგადაც უნდა გაისარჯო.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატები

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

წინ კიდევ ბევრი საქმეა

ამგვარ, ცოტა არ იყოს, უცნაურ სამსჯავროს გივი აბზიანიძე საკუთარი ნებით წარუდგა. თითქმის ოცდახუთი წელია ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზეა და ასეთი სერიოზული გამოცდის წინაშე არასოდეს მდგარა. სხვანაირად არ შეეძლო — ხალხმა გამოთქვას პირუთვნელი აზრი. საბოლოო სიტყვა მასზე იყოს, ასე გადაწყვიტა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა. კაბინეტში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მოვლინებულ ინსპექტორს დაელოდა და, როცა ის მოვიდა, მასთან ერთად სხდომათა დარბაზისაკენ გაეშურა.

იქ უკვე თავი მოეყარა წყალტუბოს და ქალაქის ზონის აქტივს — მის ხელმძღვანელებს, რიგით მშრომელებს, მოწინავეებს, და კიდევ... განაწყენებულ ადამიანებს, რომლებიც ამ ორი წლის განმავლობაში მოხსნეს, გაათავისუფლეს ან ჩამოაქვეითეს მაღალი პოსტებიდან. ადამიანთა ეს კატეგორია თვით პირველი მდივნის თხოვნით მოიწვიეს.

ინსპექტორს მოზრდილი საქაღალდე ეჭირა ხელში. აქტივმა და მისმა პარტიულმა ლიდერმა არ იცოდნენ, რა ეწერა ფურცლებზე, რითაც ეს საქაღალდე იყო სავსე. აბზიანიძეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უთხრეს, რომ ბოლო ხანს ზონის ხელმძღვანელობაზე ბევრი საჩივარი დაგროვდა. ყველა მათგანი ხელმოუწერელი იყო. მდივანს ეცნო: მსგავსი შინაარსის წერილები და განცხადებები საქალაქო კომიტეტშიც საკმაოდ შემოდიოდა. აქ მათზე რეაგირებდნენ, ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად ყველაფერი გამოერკვიათ, დაუმსახურებლად არავინ დასჯილიყო, ჩირქი არავის მოსცხებოდა. როგორც ჩანს, ამას არ სჯერდება უკეთური სული, უფრო მაღალი ინსტანციების მეშვეობით ცდილობს ანგარიშის გასწორებას. და აი, აბზიანიძემ გაბედული ნაბიჯი გადადგა: პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა, მისთვის გაუცნობლად ჩამოეტანათ ეს საჩივრები და განცხადებები ადგილზე. თავად აქტივს დაახვედრებდა და საჯაროდ გაერკვიათ, რაში ედებოდა ბრალი. მდივანს, იყო თუ არა რამეში დამნაშავე, მართლა უანგაროდ ეპყრა მართვის საჭე თუ მიხვეულ-მოხვეული გზებით მიუძღოდა ხალხს. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, მაგრამ დათანხმდნენ.

შეხვედრა 1986 წლის 5 თებერვალს მოეწყო. ინსპექტორი საჩივრებს კითხულობდა. აბზიანიძემ კიდევ ერთხელ მოავლო მზერა დარბაზს. ისევ წამოტივტივდა ფიქრი — „სწორად ვიქცევი?“

ინსპექტორი ბრალდებების კითხვას აგრძელებდა. რას არ მოისმენდით აქ: „ვინ არის ეს ხალხი? რა უნდათ? რას მიესწრაფიან? ნეტავ რომელიმეს თვითონ თუ სჯერა საკუთარი მონაჭორი? ვაითუ, ბევრი თანაზიარი ჰყავს ამ ჭორებს! მაშინ? მაგრამ სიმართლე? სინდისი? პატიოსნება? რა, იშვიათად დატრიალებულა სიმართლის და პატიოსნების ბორბალი უკუღმა?“ ფიქრები ერთმანეთში აირია.

ინსპექტორმა წერილების კითხვა დაასრულა, დარბაზის რეაგირებამ მდივანი საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა. არსებითად, აქ გამოტანილი მსჯავრი მთელი ზონის აზრი იქნებოდა. აქ იყვნენ მასთან მომუშავე პარტიული ამხანაგები, მშრომელები — ხელდაკოჟრილი ქალები და კაცები, მოწინავის მედლები და ორდენები რომ უმშვენებდათ მკერდს, ინტელიგენცია, ახალგაზრდები... მისი საყვარელი ახალგაზრდები. გაახსენდა მდივნად არჩევის პირველ დღესვე, პარტიულ აპარატთან პირველი საუბრის დამთავრებისთანავე, დიალოგი სწორედ ხვალის იმედთან გააგრძელა და ტრადიციადაც აქცია ბიუროს წევრებისა და ახალგაზრდობის საქმიანი შეხვედრა კვარტალში ერთხელ. გადახალისდა და გაახალგაზრდავდა კადრები. ოცდაშვიდ კომკავშირელს გაუწია პირადად და ბიუროს სახელით რეკომენდაცია სხვადასხვა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ პოსტზე. და რაოდენ სასიხარულოა, რომ თითქმის ყველამ გაუმართლა.

ასე დაემგზავრა მომავალი მის ნამუსიანად გავლილ წარსულს. ახლა მათს ჭაბუკური თავშეუკავებლობით აღშფოთებულ სახეებს რომ უყურებდა დარბაზში, თითქოს ეს განსაკუთრებით სიამოვნებდა. ყველაზე გულწრფელნი ისინი იყვნენ.

ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ: აქტივი, აღშფოთებული ანონიმურ წერილებში გადმონთხეული ბოღმით, მოითხოვდა ცილისმწამებლების დასჯას. ვინ არიან ისინი? თითქოს და მის აზრებს ეხმიანებოდნენ გამომსვლელები — ან თანამდებობიდან სამართლიანად გაძევებულნი, ანდა ახლა რომ აქვთ წყალი შემდგარი, ისინი; იქნებ, ორივე ერთად და მათ საქმოსანთა, დაფრენილ მომხვეჭელთა და გამომძალველთა ქოროც ერთვის ზედ?

იყო წყალტუბოში ერთი საქმოსანი, საკმაოდ პრივილეგირებული პიროვნება — ელექტროსაქონლის მაღაზიის დირექტორი რ. ჯიშკარიანი, განთქმული მარტო იმით კი არა, რომ მისი მაღაზიის საწყობიდან მამასისხლად იყიდებოდა გადანახული იმპორტული საქონელი, არამედ იმითაც, რომ სწორედ მისი გავლენის ძალაზე იყო დამოკიდებული ბევრი მუშაკის ბედი. განსაკუთრებული წარმატებით ერეოდა იგი საკადრო საკითხებში. ამას, რაღა თქმა უნდა, წერტილი უნდა დასმოდა. იმ დღემდე 1986 წლის 5 თებერვალამდე ანუ მდივნის მოსვლიდან 2 წლის მანძილზე 38 მომხვეჭელი, საქმოსანი, და მათთან დაკავშირებული ნომენკლატურული თანამდებობის პირი ჩამოაცილეს ასპარეზს.

ასეთი გაბედული სვლების გაუტკივარება იოლი არ იყო. აკი დაესხნენ თავს — არაკაცურად, მალულად, თავიანთ მფარველებთან ერთად, სხვის სახელებს ამოფარებულები.

აქტივმა შეულამაზებლად გამოხატა თავისი პოზიცია. ნაკლოვანებებზე თვალს არავინ ხუჭავდა, მაგრამ იმდენი იყო გაკეთებული, იმდენად გულმოდგინედ ემუშავათ როგორც პარტიულ აპარატს, ისე საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს, ხალხს, მშრომელებს, რომ ცილისწამება დღესავით ნათელი შეიქნა.

ახსოვს, ანდა როგორ დაავიწყდება გივი აბზიანიძეს, თავისი პირველი ნაბიჯები წყალტუბოში. მისი ღონისძიებების სასიკეთო შედეგი უპირველესად ის იყო, რომ ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ კაბინეტებიდან აქტიურად გადაინაცვლა საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, კულტურისა თუ დასვენების კერებში; ტრადიციად იქცა კვირაში ერთხელ კომპლექსური ჯგუფების გასვლა პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც კომპეტენტური პარტიული და სამეურნეო მუშაკები ადგილზე სწავლობენ მდგომარეობას, ხვდებიან მშრომელებს, აქტივს, ისმენენ შენიშვნებს, ოპერატიულად წყვეტენ წლობით მოუგვარებელ საკითხებს, აძლევენ სათანადო რჩევებს და რეკომენდაციებს.

ასე საქმიანად განიხილეს, მაგალითად, ოფშკვითის, მაღლაკის და წყალტუბოს კოლმეურნეობებში მშრომელთა კრიტიკული შენიშვნები. 32 საჭირბოროტო საკითხიდან 22 ოპერატიულად გადაწყდა.

კარგი შედეგი გამოიღო ასეთმა მუშაობამ დამსვენებელთა შორის. იკლო უკმაყოფილებამ, პრეტენზიებმა ბალნეოდაწესებულებებში. იმრავლა მადლობის წერილებმა.

წარმატებით ხორციელდება საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ დამტკიცებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზების გაფართოების გეგმა, როგორც თვით ქალაქში, ასევე მის გარშემო სოფლებში. უგეგმო მშენებლობების, საერთოდ სტიქიურობისაგან თავდაზღვევის, აგრეთვე არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია ყოველწლიურად იხილავს და ამტკიცებს სპეციალურ გეგმა-გრაფიკს, რომლის მიხედვითაც ნათელია ყოველი საწარმოს, ორგანიზაციის წილობრივი მონაწილეობის ხარისხი ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარებაში.

საერთოდ, აქ კარგ ტრადიციად დამკვიდრდა — წლის დასაწყისში შესაბამის სამსახურებთან ერთად გაარკვიონ, რა პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი ზონის რეგიონებს, სოფლებს, დარგებს, ცალკეულ საწარმოებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სამკურნალო დაწესებულებებს. და ამას აკეთებენ გულდასმით, სიღრმით.

ახალი სიცოცხლე შეიძინა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა. 320 ადგილიანი მუსიკალური სკოლის კომპლექსი უკვე მთავრდება.

პიონერთა სახლი არ ჰქონდათ აქაურ მოსწავლეებს. ახლა აქვთ, სამხატვრო გალერეაც მალე გაიხსნება. წყალტუბოს მოსახლეობა ადგილზეც უნდა ეზიაროს რესპუბლიკის, ქვეყნის, მსოფლიოს სახვით ხელოვნებას. დამსვენებლებიც უნდა გაეცნონ ერის მაღალ კულტურას. შეიქმნა და ძალას იკრებს ლიტერატურული გაერთიანება.

აღსანიშნავია, რომ აქ მშვენივრად იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ რესურსებს. ასე მაგალითად: თვითონ ამზადებენ გრანიტს, პატარა ბლოკებს, სხვადასხვა გასაფორმებელ გრანიტის ფილას, მარმარილოს ნამსხვრევებს, გაიზარდა პარკეტის და აგურის წარმოება. ასე რომ, თავიანთ შიდასაქალაქო პრობლემებს თვითონ უვლიან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სოციალური დანიშნულების ობიექტების განვითარების და ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესებისათვის წყალტუბოელთა მუშაობა და დაადგინა გავრცელდეს ეს გამოცდილება.

ქალაქი ქალაქია, მაგრამ არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა სოფლის ეკონომიკა. სოფლის მეურნეობაში მდივანმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზონაში 732 ჰექტარი მსხმოიარე ფართობიდან მხოლოდ 555 ტონა ყურძენი მოიწიეს. ეს წლების მანძილზე მიწისადმი უკუღმართი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგი იყო. ყურადღებას უთმობდნენ მხოლოდ ვენახის ახალი ფართობების გაშენებას, მოსავლიანობა მეორე პლანზე იყო გადაგდებული. აბა, რა გამართლება ჰქონდა, მაგალითად, რომ ბროწეულაში ვაზი გააშენეს ბროწეულის ნაცვლად. ვენახისათვის მწირ მიწას რა უკუგება უნდა მიეცა ამ მხრივ? ასეთი ბედი ეწია ვენახს ფარცხანაყანევში, მაღლაკში, მესხეთში და სხვა ადგილებში. ეს არასწორი იყო. ამიტომ სავენახედ მხოლოდ სამისოდ ვარგისი 219 ჰექტარი დატოვეს, რომელზეც (სამჯერ ნაკლებ ფართობზე) ორჯერ მეტი მოსავალი მოიწიეს — 1125 ტონა. აი ეს უკვე შედეგი იყო!

ახლა გაახსენდა, როგორ წუხდა იქაური გლეხობა, მიწა არ გვყოფნისო. შეხვდა მათ. „თქვე დალოცვილებო, 50-60 წლის წინათ აქ უფრო მეტი ხალხი ცხოვრობდა. მიწა მაშინ სამყოფი იყო, ახლა რა დაგემართათო? წავიდნენ, მიატოვეს კარ-მიდამო, ნასახლარები გატყევდა. მოჰკიდეთ იმ მიწას ხელი, გაკაფეთ, გამოიყენეთ!“ ასეც მოხდა. 500 ჰექტარი მიწა გაკაფა და აითვისა გლეხობამ.

დიდ ყურადღებას მოითხოვდა მებოსტნეობა — რაიონის ძირითადი კულტურა, ხეხილი, ჩაი, ციტრუსი. სწორ აგრონომიულ მიდგომას, ბუნებრივი პირობებისა და ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებას აქაც სანიმუშო შედეგი მოჰყვა. მარტო დაავადებებისადმი გამძლე პამიდვრის ახალი ჯიშების — „ერმაკის“ და „ფაკელის“ შერჩევამ საგრძნობლად გაზარდა მოსავლიანობა.

ახლა ახალმოსახლეთა გახარებული სახეები წარმოუდგა თვალწინ. ეს ადამიანები წლობით ელოდნენ ბინებს. ვინ ბარაკებში ცხოვრობდა, ვინ ნათესავის თუ ნაქირავებ ოთახებს შეჰკედლებოდა. არნახული ტემპით განხორციელებულმა კომუნალურმა თუ კოოპერატიულმა ბინათმშენებლობამ შვებით ამოასუნთქა ხალხი. 1993 წელს ეს იგი 7 წლით ადრე, ვიდრე ამას პარტიის დირექტივა ითვალისწინებს, ზონაში მთლიანად გადაწყდება ბინით მოსახლეობის დაკმაყოფილების პრობლემა.

დაინახა ეს ყოველი ხალხმა და დააფასა. საბოლოო სიტყვის სათქმელად რომ წამოდგა, იგრძნო, სათქმელი აღარაფერი დარჩენოდა, საქმეს თვითონ ეთქვა ის. თქვა მხოლოდ, რომ აქტივთან, რაიონის მშრომელებთან დასამალი არაფერი გვქონია და არც არასოდეს გვექნება, სწორედ აქტივთან სიახლოვე, საკითხების კოლექტიური გადაწყვეტაა ჩვენი ძლიერებისა და შემდგომი წინსვლის საფუძველი.

• • •

ამის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა. მთელ ჩვენს ქვეყანაში დაძრულმა რევოლუციური გარდაქმნისა და განახლების ტალღამ ახალი ძალები შემატა წყალტუბოელებს. მართვის სტილში მთლიანად გამოირიცხა მეთაურულ-ადმინისტრაციული ფორმები. დღითი დღე ღრმავდება დემოკრატიზაციის, საჯაროობის პროცესი. თავადაც სწავლობენ და სხვებსაც ასწავლიან ნამდვილ დემოკრატიას, პრობლემების ახლებურად ხედვას. სადღეისო შედეგები ასეთია: თუ სამი წლის წინათ თერთმეტი საბჭოთა მეურნეობიდან რვა-ცხრა წამგებიანი იყო და ზარალი 2,630 ათას მანეთს აღწევდა, ახლა მხოლოდ ერთ მეურნეობასღა სჭირდება დოტაცია, საზოგადოებრივი სექტორებიდან მეტწილად შეუფერხებლად სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალებები. უკვე ორი წელია აღარ ირღვევა მიწოდების ხელშეკრულებები.

წარმატებით ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები. ზონის სამრეწველო საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა წელს უკვე გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

— ჩვენ ჯერ მხოლოდ ნაბიჯი გადავდგით წინ — ამბობს გივი აბზიანიძე, — ზედაპირული პრობლემები დავინახეთ და გადავწყვიტეთ, ჯერ მხოლოდ ის შევძელით, რომ ხალხი განვაწყვეთ დიდი საქმეებისათვის. პრობლემები კი ისევ ბევრი გვაქვს.

აქ ასეთი სტილით მუშაობენ: ყველამ თავისი საქმე აკეთოს, თავი იგრძნოს დამოუკიდებლად და დაეყრდნოს კიდეც ხალხის აზრს: იმიტომ ამბობდნენ თ. გობეჯიშვილი და სხვა სამსახურების ხელმძღვანელები, რომ ცალკეული რთული დავალებების შემსრულებლები თავიანთ დარგებს და საქმეს ისე უძღვებიან, როგორც პირველი მდივნები. სრული დამოუკიდებლობა აქვთ. ადამიანებს საკუთარი ძალების რწმენა უმტკიცდებათ.

მდივანს მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ პლენუმზე ითქვა და ჩვენც გვეხება, რომ ჯერ ისევ მძლავრობს დუბლირება საქმის მართვაში, მკვეთრად ვერ გავმიჯნეთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების სამსახურებრივი ფუნქციები. ვებრძვით ბიუროკრატიზმს, და მაინც სრულად ვერ გავთავისუფლდით მისგან, ვაშენებთ ბევრს, მაგრამ ზოგჯერ უხარისხოდ. ვცდილობთ დავუბრუნოთ გლეხს მიწის სიყვარული და ბოლომდე ვერ ვძლევთ ტრადიციულ ბარიერებს. ამაში ზოგჯერ მუშაობის გამრუდებული მეთოდებიც გვიშლის ხელს. მაგალითად, ცეკავშირის რესპუბლიკურმა გამგეობამ წლეულს მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობისაგან ხორცის შესყიდვის გეგმა. ჩვენი სამართლიანი პროტესტი ვერ ჰკრის. აქ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებებისაგან განსაკუთრებული მხარდაჭერა გვჭირდება. ერთხელ გაფუჭებულ საქმეს კი, წარსულის არაერთი გაკვეთილიც გვასწავლის, ათწლეული სჭირდება გამოსასწორებლად.

• • •

ვინც სამი-ოთხი წელი წყალტუბოში არ ჩამოსულა, ახლა ვეღარ იცნობს მას. აქაურობა ადამიანის პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაციის ნიმუშია. ეს საქმიანობის ფართო ეტაპის დასასრულად მიაჩნიათ აქ. წინ კი უამრავი საქმეა.

ვაჟა თევდორაძე, გიორგი ლაბაძე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

დავამკვიდროთ მომთხოვნელობა

გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გაფართოებული სხდომა. მან განიხილა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მითითებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების საქმეში სახალხო კონტროლიორთა ამოცანები.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ნ. რ. საჯაიას მოხსენებაში და გამოსვლებში აღინიშნა კონტროლის უდიდესი როლი ადგილებზე სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდისათვის ყველა შესაძლებლობის გამოყენების საქმეში. დასახეს კონტროლის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები.

სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის აგრომრეწვის საწარმოთა ამოცანების შესახებ სხდომაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ.

▼▼

ბავშვები — ჩვენი საზრუნავი

სოხუმში გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა საბჭოთა ფონდის აფხაზეთის განყოფილების დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუთბამ.

„ბავშვებისათვის — ბავშვთა სახელით!“ — ასეთი იყო პოეტ ნელი თარბას მოხსენება, რომლის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თ. წითლიძემ, წითელი ჯვრის საზოგადოების აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ნაჭყებიამ, გუდაუთის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ვ. ტანიამ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა, სოხუმის მშრომელთა კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ჯანაშიამ, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა თ. კოლონიამ.

დასასრულ გაიმართა ბავშვთა საბჭოთა ფონდის აფხაზეთის განყოფილების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ბავშვთა საბჭოთა ფონდის აფხაზეთის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია პოეტი ნელი თარბა.

ქიმიკოსის დღე

მათი წვლილი

კარგად დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი რუსთავის სამრეწველო კომპლექსმა. ქალაქის ყველა საწარმომ შეასრულა ხუთი თვის გეგმა და გამოუშვა გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად მეტი პროდუქცია, დამზადდა ნავარაუდევზე მეტი სახალხო მოხმარების საქონელი. ბევრი რამ გაკეთდა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვისაც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „აზოტის“ საწარმოო გაერთიანების წარმატება. მისი კოლექტივის გამართული მუშაობა რომ არა, ალბათ, მთელი კომპლექსის კოლექტივის მონდომებას გადაესმებოდა ხაზი. როცა ამას ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ამ გაერთიანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დიდ ზეგავლენას ახდენს არა მარტო რუსთავის, არამედ მთელი რესპუბლიკის ეკონომიკის წინსვლაზეც.

ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ისინი, ვისაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გაერთიანების მიღწევებში და ღირსეულად ხვდება XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას. ყველა მათგანი ასრულებს ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას.

სურათზე: უფროსი მეაპარატეები ბიჭიკო შარვაძე და ნაირა ყურაშვილი, ოპერატორი ქეთინო მოდებაძე, ტექნოლოგი ტრისტან ხვიჩიაშვილი და ცვლის უფროსი ნუგზარ რამიშვილი.

ჯ. ლომაძის („კომუნისტი“) ფოტო.

პატივს მიაგებენ საზღვრის გუშაგებს

27 მაისს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის უბანმა თითქოს საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლის საკონცერტო დარბაზის სცენაზე გადმოინაცვლა. წითელ-მწვანე სასაზღვრო სვეტთან დიდებით მოსილი საბრძოლო დროშების ქვეშ ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ მწვანექუდიანი მეომრები. სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს გენერლები და ოფიცრები, თბილისის გარნიზონის მეომრები, სასაზღვრო ჯარების ვეტერანები.

კრება გახსნა თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ო. ანდრიაძემ.

მოხსენება საბჭოთა მესაზღვრეების მიერ გამოვლილი სახელოვანი გზის, სამშობლოს სამხრეთის საზღვრების გუშაგთა მხედრული სადაგი დღეების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ი. კ. პეტროვასმა.

საზღვრის მეომრებს მიესალმნენ №2 სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ზ. დევდარიანი, სასაზღვრო ჯარების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი პ. ი. კისელიოვი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი გ. ე. შათირიშვილი, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი, მწერალი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჭ. ი. ამირეჯიბი, ხელვაჩაურის რაიონის კახაბერის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ი. ო. ბასილაძე.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ა. ნ. ინაური, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ნ. როდიონოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი ა. ნ. ნოვიკოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი მ. ი. შკურუკი.

კრების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

• • •

ამავე დღეს სასაზღვრო ჯარების იუბილესადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეებმა თბილისის ცენტრალურ მოედანზე აღმართულ ვ. ი. ლენინის ძეგლთან გვირგვინები მიიტანეს ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის მესაზღვრეებისა და თბილისის მშრომელების სახელით.

ყვავილებით შეამკეს აგრეთვე ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლი.

საქინფორმი

წერილი პარიზიდან

სეზონის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

როგორც ახსოვთ მკითხველებს, მარტის შუა რიცხვებიდან საფრანგეთში ერთ თვეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები. საბჭოთა მსახიობების გამოსვლას დიდი წარმატება და ფართო რეზონანსი ხვდა.

ამ დღეებში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო სსრ კავშირის პარიზელი ელჩის ი. პ. რიაბოვის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ანსამბლმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და ცხადყო ქართული ფოლკლორის სიმდიდრე და მსახიობთა ბრწყინვალე ხელოვნება.

ფრიად წარმატებული აღმოჩნდა, ნათქვამია წერილში, დასში ბავშვთა ჯგუფების შეყვანა, რომლებიც ყოველთვის იწვევდნენ მაყურებელთა მქუხარე ტაშს. კოლექტივის ხელმძღვანელობამ და ყველა წევრმა გამოავლინა, რომ ისინი არა მარტო გამოცდილი მსახიობები არიან, არამედ გამოირჩეოდნენ დისციპლინით, საზღვარგარეთის პირობებში და, კერძოდ, საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის უნარით. პრესა და ტელევიზია ფართოდ აშუქებდნენ გამოსვლებს, პრაქტიკულად უკლებლივ ყველანი დადებითად აფასებდნენ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ გასტროლები პარიზის თეატრალური სეზონის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

ჩვენ გვინდა, წერს ელჩი, რომ ეს წარმატება განვავითაროთ საფრანგეთში კოლექტივის შემდგომი გამოსვლებით, არ დავუშვათ მნიშვნელოვანი შესვენება გასტროლებში, როგორც ეს წინათ იყო. ამასთან დაკავშირებით საელჩო მხარს უჭერს წინადადებას 1989 წლის დამლევს — 1990 წლის დამდეგს საფრანგეთში ანსამბლის ახალი გასტროლების მოწყობის შესახებ, რომელიც წამოაყენა ფრანგმა იმპრესარიომ ა. სარფატიმ. მან თავი გამოიჩინა როგორც გამოცდილმა ორგანიზატორმა და სათანადოდ იზრუნა ჩვენი მსახიობებისა და ბავშვებისათვის.

სამუშაოთა ტემპი უნდა დაჩქარდეს

ყველასათვის ცნობილია თუ რა მძიმე უბედურება დაატყდა თავს შარშან ზამთარში საქართველოს ეგზოტიკურ კუთხეს — სვანეთს. მძიმე განსაცდელის ჟამს აქაურ მოსახლეობას ჭირისუფლად მოევლინა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა. ვისაც რა შეეძლო არ იშურებდა მოძმისათვის. საიდან არ მოდიოდა აქ წერილები: თუ ჩვენთან ჩამოხვალთ და იცხოვრებთ სიამოვნებით დაგითმობთ ჩვენს საცხოვრებელსო. მეგობარი ჭირში იცნობაო, — ამბობს ქართული ანდაზა. სვანები ნამდვილად დარწმუნდნენ რაოდენ მრავალი მეგობარი და მოჭირნახულეც ჰყოლიათ.

გადაწყდა სვანთა დიდი ნაწილის ქვემო ქართლის და გარე კახეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლება. ნეტავ გენახათ რაოდენ სიხარულით ელოდებოდნენ ამ დღეებს მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს რაიონის მშრომელები. შრომითმა კოლექტივებმა, ოჯახებმა ძვირფასი საჩუქრები მოუმზადეს ჩამოსახლებულთა ოჯახებს. ბევრი საკუთარ ჭერქვეშ ეპატიჟებოდა მათ. ბევრმა კი დროებით გადადო დიდი ხნის ნანატრი ახალმოსახლეობა და ბედნიერება უსურვა მოძმეთ მის კუთვნილ ბინაში.

პარალელურად მშენებლობებიც გაჩაღდა სვანთა ოჯახებისათვის. სამისოდ სახელმწიფოს არავითარი სახსრები არ დაუშურებია, მაგრამ ძნელია ერთბაშად ასეულობით სახლის, სასწავლო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა. მით უმეტეს როცა იგი გეგმიური არ არის და მისთვის სამშენებლო მასალების გამოყოფა სხვა ფონდების შემცირების ხარჯზე ხდება.

ასე იყო თუ ისე სამშენებლო ფრონტი გაიშალა. სხვა რომ არაფერი საქართველოს რუკაზე გაჩნდება სრულიად ახალი დასახლებები, ახალი სოფლები თანამედროვე კომფორტით. თვალს ხიბლავს სოფელი ლემშვანიერა, რომელიც ჯანდარის ველზე წამოიმართა, ტანძია, რომელიც ისტორიული ტანძიის ადგილზე გაჩნდა. ახალი დმანისი, უდაბნო, წეროქვი სიონი, საყულია, ძაკნა და ა. შ.

ზოგი სახლი უკვე დამთავრდა, ბევრს თანდათან ეხსნება ხარაჩოები, ნაწილს ახლა ჩაეყარა საფუძველი ან ეყრება. ერთი სიტყვით, სამუშაოები წინ კიდევ დიდია. დიდია სიძნელეებიც, რომელიც ახლო ხანში უნდა იქნეს დაძლეული. სწორედ ამ ნიშნით გაიმართა კომპლექსური გამსვლელი მიღება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დმანისის რაიონში მოაწყო. მასში მონაწილეობდნენ ამხანაგები **ა. გლურჯიძე, ზ. ჩხეიძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე **ზ. ჯოჯუა,** რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებათა ხელმძღვანელები, პარტიის რაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, პრესის მუშაკები.

კომპლექსური გამსვლელი სხდომა დმანისის რაიონში

იმ საბედისწერო დღეებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა, —თქვა მიღებაზე ილია ოთხვანმა, კარგად მახსოვს როგორ მხარში ამოგვიდგა მთელი ჩვენი ქვეყანა. სვანები განსაკუთრებული მადლობის გრძნობით ვართ განწყობილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, პირადად ჯ. პატიაშვილისადმი. თანადგომამ და მზრუნველობამ გადაგვატანინა გაჭირვება. გთხოვთ, ჩვენი უღრმესი მადლობა გადასცეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

ზ. ჩხეიძე, გმადლობთ, თქვენს თხოვნას შევასრულებთ.

მაგრამ სათქმელი მაინც გვაქვს, — განაგრძობს ილია ოთხვანი,— ამ ხნის მანძილზე სასტუმროებსა და მუშათა საცხოვრებელ კორპუსებში ვცხოვრობთ. ზოგს იქიდან გამოსვლის იმედი დიდხანს არ გვაქვს. აი მაგალითად, ჭუბერიდან დმანისში ჩამოსახლებულთა ერთ ჯგუფს სახლებს გვიშენებენ სამეურნეო წესით წალკის რაიონის საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ ზოგი დაწყებულიც არ არის. აქედან განსაჯეთ რა გული გვექნება. ასეთივე სატკივარი გამოთქვეს დიასახლისმა ნელი გადრანმა და სხვებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გამოიძახა პარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ოსიპოვი და გამოკითხა რა არის აღნიშნულის მიზეზი. გამოირკვა, რომ მშენებლებს არ გააჩნიათ სამშენებლო მასალები, ურომლისოდაც სახლი არ აშენდება. ზ. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. თავის მხრივ წალკელებმა განაცხადეს, რომ მშენებლობას დააჩქარებენ.

შვიდი შვილის დედამ მზია ჩხვიმიანმა აღნიშნა: — დმანისის რაიონში სიყვარულით მიგვიღეს და მადლობის მეტი რა გვეთქმის. მატერიალური დახმარებაც გაგვიწიეს, მალე ახალ სახლებში გადავალთ. ჰოდა, მინდა გთხოვოთ, რომ დაგვიჩქარონ ჩვენს მეზობლად საბავშვო ბაღის მშენებლობა. სამი ბავშვი მყავს ბაღში მისაყვანი. მეც არ მინდა საერთო ფერხულს ჩამოვრჩე, მინდა სადმე ვიმუშაო, ოჯახსაც გამოვადგები და ხალხსაც.

— ტანძია ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი გახდა ბოლნისის რაიონში. აქ 150 სვანის ოჯახი იცხოვრებს, პირველი მერცხლები ჩვენ ვართ, — თქვეს ვარლამ ბერიანმა და როლანდ დადვანმა, — შენდება საშუალო სკოლა, ამბულატორია, მაგრამ დამპროექტებლებს რატომღაც „გამორჩათ“ მათი გათბობის საკითხი. არა და სკოლა გათბობის გარეშე ვერ იმუშავებს.

მ. ნიკოლაიშვილი, სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე: სწორია, ეს შეცდომა დაშვებულია. ჩვენ ამას გამოვასწორებთ, სკოლას უსათუოდ ექნება საკუთარი გათბობის სისტემა, მას ამბულატორიაშიც გავიყვანთ.

ახალ დასახლებებში შენდება სოციალურ-კულტურული დანიშნულების კერები, სასწავლო, კულტურის, მომსახურების ობიექტები, გაყვანილი იქნება გზები. რა დასამალია და ზოგიერთ ახალ დასახლებაში წვიმის დროს გავლა შეუძლებელია. მაგრამ ამ მშენებლობათა გაჭიანურების მიზეზები მარტო უთავბოლობა და უგერგილობა როდია. საიჯარო და სამეურნეო წესით შესრულებულია გამოყოფილ სახსრებთან შედარებით ორჯერ მეტი სამუშაოები. პრაქტიკულად მთელ რესურსებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ვახმართ, ვისწრაფვით ყველა მოვათავსოთ საკუთარ ჭერქვეშ. ცხადია, სხვა პრობლემებსაც უნდა შემოვუაროთ, — ითქვა მიღებაზე.

გამოირკვა ისიც, რომ მშენებლები ვერ ღებულობენ ფონდებით გამოყოფილი საშენი მასალების მესამედსაც კი. ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია ამას იმიზეზებს და არ ცდილობს გამონახოს რაიმე საშუალებები. ამ მხრივ მისაბაძია დმანისის რაიონის გომარეთის მეცხოველეობის სასუქე კომპლექსის ხელმძღვანელების თაოსნობა. მათ ოთხი სახლი ააშენეს სამეურნეო წესით. საფუძველი და პირველი სართული ადგილობრივი ქვით ამოიყვანეს. ამან მშენებლობა კიდეც დააჩქარა და კიდეც გააიაფა. ასე რომ ყველა იქცეოდეს, ცხადია, პრობლემები ნაკლები იქნებოდა.

მიღებაზე მოვიდნენ მახარაძის რაიონის სოფელ ქაკანიდან ზ. კვაჭიანი და ქ. ლიპარტელიანი. მათ აღნიშნეს, რომ სოფელში არის 50-ადგილიანი საბავშვო ბაღი და საშუალო სკოლა 220 მოსწავლეზე. ჩვენი ჩამოსახლების შემდეგ ეს სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მოითხოვეს ამ საკითხის გადაწყვეტა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღეს.

მოქალაქეებმა აძრეს სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხი. რესპუბლიკის დარგების ხელმძღვანელებმა ადგილზევე ბევრი ოპერატიულად გადაწყვიტეს. მაგრამ ცხადია, ყველა პრობლემა, რომელიც ეხება ხალხის დაბინავებას, შრომითს მოწყობას, ნორმალური სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას ერთბაშად ვერ გადაწყდება. მათზე დაწესებულია კონტროლი, რის შესახებ სისტემატიურად ეცნობება მოსახლეობას.

დმანისში გამართულ მიღებას და სჯა-ბაასს მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მან პირველ რიგში გაამხნევა სტიქიით დაზარალებული ადამიანები და ჩაუნერგა რწმენა, რომ მალე დაძლევენ არსებულ სიძნელეებს. მანვე წარმოაჩინა პრობლემები, რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანთა ბედი და. იგი რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა გადაწყდეს. აღინიშნა, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციად უნდა იქცეს.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ექო: სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის

მე რომ დელეგატი ვიყო

დღეს ჩვენი ქვეყანა მტკიცედ ადგას საწარმოების, დაწესებულებების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის კურსს. ვითარდება მშრომელთა თვითმმართველობა, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონით, ეს დიდად სასურველი ნაბიჯია მომავალი წინსვლისათვის.

ორ ათეულ წელზე მეტია ვმუშაობ საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“, ბევრი რამ მინახავს ამ ხნის მანძილზე — ავიც და კარგიც. იყო წარმატებები, მარცხიც, მაგრამ მუშათა კლასს ყოველთვის გვჯეროდა კოლექტივისა, ჩვენი, წარსულში კარგი ტრადიციის მქონე ქარხნისა. გვჯეროდა, რომ კვლავ დავძლევდით ჩამორჩენას და მივაღწევდით წარმატებებს. მართალი უნდა ითქვას, დიდი ხანია მე და ჩემი ბრიგადის წევრებს არ გვიშრომია ისეთი შემართებით, როგორც ახლა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი შრომა ხალხს სჭირდება, რომ რაც უკეთ ვიშრომებთ, მით უკეთ ვიცხოვრებთ, რომ ჩვენს შრომაზე ბევრად არის დამოკიდებული საკუთარი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა. ვცდილობთ მივაღწიოთ, რომ არ იყოს პრეტენზია ჩვენს ნახელავზე ხარისხის თუ რაოდენობის მხრივ. ჩვენ ახლა ვნერგავთ შიდაბრიგადო სამეურნეო ანგარიშს ოთხ საფეხურზე: წარმოება — საამქრო — ბრიგადა — მუშა, რაც საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება და შესაბამისად ხელფასი.

ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ გამოგვდის, როგორც სასურველია, მაგრამ ცდას არ ვაკლებთ და ეს წარმატების საწინდარია. ვეცნობით სხვა საწარმოების გამოცდილებას, საწარმოს თვითმმართველობის მეთოდზე ახლახან მოეწყო ლექცია-სემინარი.

ჩვენი მუშაობის მიმართ უნდობლობა საქმეს თუ არ ვნებს, არაფერს რგებს. სამეურნეო ანგარიშის პირობებში ჩვენთვის თითოეულ წუთს დიდი ფასი აქვს. მაგრამ ზოგს თავისი მუშაობის სტილი და მეთოდი ჯერ არ გარდაუქმნია და გვაკარგვინებენ ძვირფას დროს. საქმე ის არის, რომ გვამოწმებენ ძალიან ბევრს, სხვადასხვა საკითხზე. მოდის უამრავი კომისია, თითქმის ყოველდღე, გვაცდენენ. ამას ემატება შიდა შემოწმებები — სახალხო კონტროლის ჯგუფი, პროფკავშირის აქტივისტები და „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის წევრების რეიდები, დათვალიერებები და სხვა. საჭირო კია ამდენი შემოწმება?

არავინ უარყოფს, რომ შემოწმება საჭიროა, მაგრამ არა ყოველდღე. მერე, თვითმმართველობა ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ ვებრძოლოთ უდისციპლინობას, უხარისხობას, რომელიც შემმოწმებელზე უკეთ თვითონ ვიცით.

ბევრი დრო ეკარგება მუშას ინფორმაციების, ცნობების, ანგარიშების და სხვა ქაღალდების შევსებაზე, რაც თანამედროვე პირობებში, ვფიქრობ, ზედმეტია.

მე რომ დელეგატი ვიყო, მაღალი ტრიბუნიდან ვიტყოდი: ამხანაგებო! თუ მოგვეცით თვითმმართველობის უფლება, გვანდეთ წარმოების ბედ-იღბალი, მოდით, დაგვაცადეთ და ხელს ნუ გვიშლით.

რ. ორაგველიძე.
საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

▼▼

ბარე ორმოცი წელია კინემატოგრაფიაში ვმოღვაწეობ, კინომსახიობობით დავიწყე და, ამ ბოლო დროს, რამდენიმე ფილმი დავდგი კიდეც. ერთი სიტყვით, შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიონალი ვარ და თუ დღეს, ჩემი აზრით, რაიმეს სჭირდება გარდაქმნა, ალბათ, სწორედ კინომრეწველობას. უამრავ პრობლემას შორის, რომლებიც ჩვენს კინოში, განსაკუთრებით, პერიფერიის კინოსტუდიებში წამოიჭრა, ორს გამოვყოფ:

ფილმის გადასაღებად ამა თუ იმ ჯგუფს, ცხადია, ეძლევა სადადგმო თანხა, ეს თანხა კი რამდენიმე ათეული წლის წინათ არის დამტკიცებული და დღევანდელ პირობებში ძალზე ცოტაა, ცოტაა, რადგან, ამ ხნობაში მოიმატა სხვადასხვა მასალის ფასმა, თანხა კი მის შესაძენად, კინოჯგუფებს იგივე დარჩათ.

ანდა, ავიღოთ ფერადი ფირის საკითხი. დღევანდელი კინომაყურებელი ძნელია რაიმეთი გააკვირვო, და თუ ფირიც უხარისხოა, რა გამოვა? არადა, ძალიან ხშირად პერიფერიებში უხარისხო ფერადი ფირი იგზავნება.

ამ და კიდევ ბევრი სხვა საკითხის მოგვარება საბჭოთა კინოხელოვნების შემდგომ განვითარებას წაადგება.

გ. ჭოხონელიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ აღმოვფხვრათ „მ ტ რ ი ს ს ა ხ ე"?

ანუ იმის თაობაზე, რომ ატლანტაში შეიქმნას შოთა რუსთაველის სახელობის საზოგადოება, ხოლო თბილისში — მარტინ ლუთერ კინგის სახელობის კლუბი

„ცივი ომის" ქარს იმედის ქარი ენაცვლება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მეოთხედ ხვდებიან ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები — ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში. შეგვიძლია თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ კვლავ მოკავშირეები გავხდებით, როგორც გასული ომის დროს, როცა ჩვენმა ხალხებმა გააერთიანეს ძალები და შემუსრეს ფაშიზმი, მიხაკისფერი ჭირისგან იხსნეს საკუთარი თავი და მსოფლიო. ახლა ისტორია კიდევ უფრო პასუხსაგებ მისიას გვაკისრებს: ვიხსნათ მსოფლიო (და უწინარესად საკუთარი თავი) ბირთვული ჭირისაგან. არა, ჭირისგან კი არა, უარესისგან, — ჭირი ხომ, მართალია, მთელ ქვეყნებს აუდაბურებდა, მაგრამ მთლიანად მოსახლეობას მაინც არ წყვეტდა. მისი ეპიდემიების შემდეგ, რომლებიც შუა საუკუნეებში მოედებოდა ხოლმე ევროპასა და აზიას, ხალხი გარკვეული ხნის შემდეგ მაინც კვლავ ფეხზე დგებოდა, რის იმედსაც ვერ ვიქონიებთ ბირთვული ომის შემდეგ. ასეთი ომი, ალბათ, უფრო შავ ჭირს კი არა, ქვეყნიერების დასასრულს უფრო შეედრება.

ბირთვულ ომში გამარჯვებული ვერავინ იქნება. ბირთვული ომი საყოველთაო დაღუპვას ნიშნავს. ეს ჭეშმარიტება ახლა სულ უფრო მეტ ხალხს ესმის. თუმცა მთავარი ის არის, რომ ამ გაგებასთან ერთად გაჩნდა იმის შეგნებაც, რომ მშვიდობას დაცვა სჭირდება, მისთვის ბრძოლაა საჭირო, და ამ ბრძოლაში უნდა ჩაებან არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ ყველანი. მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობა იზრდება და ფართოვდება. მან კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა წამოჭრა, რომელიც კვლავ შეგვახსენა ამხანაგმა გორბაჩოვმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისა" და ჟურნალ „ნიუსუიკის" გამომცემლებთან საუბრისას: „გვინდა თუ არა, მოვალენი ვართ ვითანამშრომლოთ, ერთად ცხოვრება ვისწავლოთ. ეს კი, ცხადია, ერთმანეთის გაცნობას გულისხმობს".

ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს — დღეს ამ ჭეშმარიტების გაგება არანაკლებ მნიშვნელოვანია მშვიდობის საქმისათვის, ვიდრე უშუალო სამხედრო განიარაღება. ცოდნა ნდობას შობს, ნდობა კი მშვიდობის მთავარი გარანტია. საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები იმდენად დიდხანს ცხოვრობდნენ ერთმანეთისადმი უნდობლობით, რომ ადამიანთა შეგნებაში გაქვავებული სტერეოტიპები ჩამოყალიბდა. ჩამოყალიბდა „მტრის სახე". საეჭვოა, მშვიდობის საქმეში წინ წაიწიოს მარტოოდენ მიხეილ გორბაჩოვისა და როლანდ რეიგანის ცდების შედეგად, თუ უფართოესი საზოგადოებრიობის (როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ამერიკის) შეგნებაში „მტრის სახე" „მეგობრის სახემ" არ შეცვალა. როგორ მივაღწიოთ ამას?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ გორბაჩოვის ვიზიტის დროს, შარშანდელი წლის 9 დეკემბერს, „კომუნისტში" ვწერდი, რომ ვოცნებობ თბილისში შეიქმნას ატლანტის მეგობართა კლუბი, ხოლო ატლანტაში — თბილისის მეგობართა კლუბი. როგორც ცნობილია, ატლანტა ამერიკის ჯორჯიის შტატის დედაქალაქია და საქართველოს დედაქალაქს მასთან დადებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება. მაგრამ, ვაი, რომ მაღალფარდოვანი სახელწოდების — „თანამშრომლობის ხელშეკრულების" უკან, ლამაზ ქაღალდზე დაბეჭდილი ლამაზი ტექსტის გარდა, არაფერი იმალება.

მოლა ნასრედინისა არ იყოს, რამდენიც უნდა იმეორო სიტყვა ჰალვა, პირი არ გაგიტკბება. იგივე შეიძლება ითქვას დაძმობილებაზეც. შეგვიძლია გაუთავებლად ვილაპარაკოთ თბილისისა და ატლანტის ძმობასა და მეგობრობაზე, მაგრამ ეს თანამშრომლობასა და მეგობრობას ვერაფერს შესძენს, რამეთუ სიტყვას მაშინ აქვს აზრი, როცა მას საქმე მოსდევს. თანამშრომლობას ვერ ვუწოდებთ წელიწადში ერთხელ სამ-ოთხკაციანი ოფიციალური დელეგაციების გაცვლას, თუ რამდენიმე წელიწადში ერთხელ დაძმობილებული ქალაქების კულტურის დღეების მოწყობას. ამიტომ, კარგი იქნებოდა, კლუბები შეგვექმნა-მეთქი. კლუბები ანუ უფორმალო გაერთიანებანი, რომლებიც შიგადაშიგ კი არა, მუდამ, დღენიადაგ განახორციელებენ ამ თანამშრომლობას და უფართოეს წრეებს ჩააბამენ ამ საქმეში.

გასული ნახევარი წლის განმავლობაში კლუბების, როგორც თანამშრომლობის აქტიური ფორმის იდეა არ მასვენებდა, ბევრს ვეთათბირე და დღეს მინდა საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვიტანო ზოგიერთი ჩემი აზრი. ჩემი წინადადებაა ატლანტის მეგობართა კლუბს მარტინ ლუთერ კინგის სახელი ვუწოდოთ. ამერიკის ეს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი, ატლანტაში დაიბადა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლას. 1968 წელს, ქალაქ მემფისში გამოსვლისას იგი რასისტის ტყვიამ განგმირა. ჯონ კენედის მკვლელობასთან ერთად ეს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური დანაშაული იყო თანამედროვე ამერიკის ისტორიაში. კინგის სახელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალზე პოპულარულია და, მე მგონია, ატლანტელებს ეამებათ ის ფაქტი, რომ თბილისელი ძმობილები ესოდენ დიდ პატივს მიაგებენ მათს გამოჩენილ თანამემამულეს.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მთავარი ის არის, თუ რას გააკეთებს ეს კლუბი. ჩემი აზრით, მისი ამოცანა უნდა იყოს ყოველივე იმ პოზიტიურის პოპულარიზაცია, რაც კი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ მეტისმეტად დიდხანს ერთმანეთში მარტო ცუდს ვხედავდით. დროა ვისწავლოთ ერთმანეთში კარგის დანახვა. კლუბის წევრები შეისწავლიან ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას, ლიტერატურას, კულტურას და, რაღა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად — ინგლისურ ენას. მოაწყობენ ნაირ-ნაირ ვიქტორინებს, თუ ვინ უფრო კარგად იცნობს ატლანტას, ჯორჯიის შტატს, ამერიკის შეერთებულ შტატებს. კლუბის ხელმძღვანელობით იმუშავებენ წრეები სკოლებში, ტექნიკუმებში, სასწავლებლებში, უმაღლესში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ვიქტორინებისა და კონკურსების გამარჯვებულთ ატლანტაში მოგზაურობით დააჯილდოებენ. მოსწავლეების, სტუდენტების, სპეციალისტ-სტაჟიორების გაცვლა, ახალგაზრდობისათვის შრომითი ბანაკების მოწყობა, ერთობლივი ღონისძიებანი — ესა და ბევრი სხვა რამ საშუალებას მოგვცემს თანამშრომლობა მასობრივად და ქმედითად ვაქციოთ. ასეთია ზოგადი მონახაზი, დანარჩენს თვით ცხოვრება გვიჩვენებს.

კარგი იქნებოდა ანალოგიური კლუბი, ოღონდ შოთა რუსთაველის სახელობისა, ატლანტაშიც მოწყობილიყო. იგი თავისებური ფილიალი იქნება საზოგადოებისა, რომელიც ამ გაზაფხულზე შეიქმნა საქართველოში, და პოპულარიზაციას გაუწევს „ვეფხისტყაოსანს", საქართველოს ისტორიას და კულტურას.

დარწმუნებული ვარ: ჩვენ უფრო მეტი რამ გვაერთიანებს, ვიდრე გვაშორებს. და თუ მუდამ ვეცდებით მივაგნოთ ყოველივე იმას, რაც გვაერთიანებს, და არა გვაშორებს, მეტ ურთიერთგაგებას მივაღწევთ, იოლად ვიცხოვრებთ მშვიდობიანად, კეთილად და შეხმატკბილებულად.

ვალერი ქაჯაია,
ახალი ამბების სააგენტო.

ერთობლივი მუშაობა გვაახლოებს

ქართველი ქირურგი მიიწვიეს ამერიკის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში



რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ქირურგმა მერაბ კილაძემ შეიცვალა სამუშაოზე წასასვლელი ჩვეული მარშრუტი — თბილისის წყნარი ქუჩიდან დიღომში რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისაკენ. ახლა ყოველ დილით იგი გადის გზას ამერიკის ქალაქ ნეშვილის (ტენესის შტატი) ერთ-ერთი უბნიდან ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სამედიცინო ცენტრისაკენ.

ამერიკელი პროფესორი ჯეკ ფიშერი, რომელიც საყლაპავი მილის ონკოლოგიური დაავადებების დროს მიკროქირურგიულ ოპერაციებს აკეთებს, დაინტერესდა ამ დარგში ოცდაათი წლის ქართველი ქირურგის გამოცდილებით. ამიტომ ამერიკელმა მედიკოსებმა საბჭოთა კოლეგა მიიწვიეს ერთობლივი მუშაობისათვის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში.

საყლაპავი მილის პლასტიკური შეცვლა თანამედროვე მედიცინის აქტუალური პრობლემაა. ამ ორგანოს რეკონსტრუქციულ ოპერაციებს ხშირად სერიოზული გართულებანი მოჰყვება ხოლმე. თითქოსდა, გამოინახა ამგვარი ავადმყოფების ოპერაციის შემდეგ მძიმე მდგომარეობის შემამსუბუქებელი გზა. 50-იანი წლების დამლევს ქირურგებმა წამოაყენეს წინადადება საყლაპავი მილის დაზიანებული მონაკვეთი შეეცვალათ თხელი ნაწლავის სეგმენტით და მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ოპერაციის შედეგები. მაგრამ კლინიკურ პრაქტიკაში ამ მეთოდის ფართოდ დანერგვა გაძნელდა: გადაუჭრელი რჩებოდა საყლაპავი მილის ყველაზე შესაფერი დონორული მონაკვეთის არჩევის საკითხი. სწორედ ამ პრობლემაზე დაიწყო მუშაობა მერაბ კილაძემ.

კილაძის მიერ წარმოებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები დაედო საფუძვლად საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მან ასპირანტურის სწავლის შემდეგ დაიცვა. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მონაკვეთი, რომელიც მეცნიერმა იპოვა საყლაპავი მილის პლასტიკისათვის, ამგვარი ოპერაციების ოპტიმალური ვარიანტია. შემდეგ კი ამ მონაცემების საფუძველზე მან წამყვან ონკოლოგ სპეციალისტებთან ერთად ქვეყანაში პირველად გააკეთა საყლაპავი მილის კიბოთი დაავადებულთა თხელი ნაწლავის აუტოტრანსპლანტაციის რამდენიმე მიკროქირურგიული ოპერაცია.

— ამგვარი ქირურგიული ჩარევა წარმატებით განხორციელდა ამერიკის კლინიკაშიც, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. იოსელიანმა. — ამას მოწმობს წერილი, რომელიც პროფესორმა ფიშერმა გამოგვიგზავნა. მან აღწერა ერთ-ერთი ურთულესი ოპერაცია, რომელიც კლინიკაში მერაბ კილაძის მონაწილეობით გაკეთდა. ამერიკელმა კოლეგამ დიდად შეაფასა ქართველი დასტაქრის პროფესიული ოსტატობა. მან აგრეთვე მაცნობა, რომ მერაბს საინტერესო ლექციები წაუკითხავს ანდერბილის უნივერსიტეტის მედიცინის კათედრაზე.

სხვათა შორის, საყლაპავი მილის პლასტიკური ოპერაციები ზოგჯერ 10-12 საათს გრძელდება, ასე რომ, ექიმი მარტო კარგი სპეციალისტი როდი უნდა იყოს, მას ფიზიკური მომზადება და გამძლეობა სჭირდება. ცურვით გატაცებამ — იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატია — მერაბს კარგი სამსახური გაუწია.

ქალაქ ნეშვილის გაზეთები წერდნენ: „ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ურთიერთობა ვიქონიოთ მშვენიერ საბჭოთა მეცნიერთან". შემდეგ მოყვანილია ნეშვილის ცენტრის დირექტორის ჯეფერსონ პენინგტონის სიტყვები: „ძალზე კმაყოფილი ვარ, რომ კილაძე ჩვენთან მუშაობს. ასეთი კონტაქტები აუმჯობესებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას, დიდი სამეცნიერო და პოლიტიკური სარგებლობა მოაქვს".

ი. ჯორბენაძე.

სურათზე: ქირურგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მერაბ კილაძე და პროფესორი ჯეკ ფიშერი.
საქინფორმის ფოტო.

მადლობა

დიდი სიამოვნებით წავიკითხეთ გაზეთ „კომუნისტში" (შემდეგ კი აფხაზეთის გაზეთში გადაბეჭდილი) დ. გოგოხიას წერილში გამოთქმული გულთბილი სიტყვები მამაჩემზე, პაპაზე და დიდ პაპაზე — მახთი ტარკილზე. ჩვენ, მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთა შვილები, სულით და გულით მოვახსენებთ მადლობას ამ ნათელი პიროვნებისათვის, რომელიც დღემდე შემოგვინახავს, და ახლა გაუზიარეთ მთელი რესპუბლიკის მკითხველებს — ქართველებსა და აფხაზებს.

გისურვებთ დღეგრძელობას.

პატივისცემით
მახთი ტარკილის ყველა შთამომავლის სახელით მისი შვილიშვილი რუსლან ტარკილი.

ადამიანების სიცოცხლე იხსნეს

უბედურება მაშინ დატრიალდა, როცა ახალნამშობიარები ქალი სოხუმიდან მესტიის რაიონში, სოფელ ბეჩოში მიჰყავდა მისო ხორგუანს. მისოს შვილის ქეთევანისა და ოთარის გარდა მანქანით მათთან ერთად მეუღლე გივი კვიციანიც მგზავრობდა.

მოულოდნელად ხაიშის გზაზე რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან, ქვემოთ ენგურში გადავიდა მანქანა. მისო ხორგუანი ენგურის ტალღებმა წაიღო.

[illegible] ებრძოდა ოთარ აქაფებულ მდინარეს, [illegible] ახალშობილი პირმშო [illegible] თითქოს საშველი აღარსაიდან იყო. სწორედ ამ დროს მდინარეს გადავიდა ორი ახალგაზრდა ვაჟი და იხსნეს რძალ-მული სიკვდილისაგან. მალე გივი კვიციანი მდინარემ შთანთქა, ოთარმა კი დიდი ბრძოლის შემდეგ როგორც იქნა გამოსცურა.

ძვირფასო რედაქციავ! გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ იმ ორ ვაჟკაცს, ხუდონჰესის გვირაბგამყვანს, [illegible] და კარლო ხეცურიანს, რომლებმაც არაფრად ჩააგდეს საფრთხე და სიკვდილისაგან იხსნეს ორი ადამიანის სიცოცხლე.

ბ. ხორგუანი

დოკუმენტური კინო

ვინ იქნება მიწის პატრონი?

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში" შეიქმნა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვინ არის მიწის პატრონი?" რეჟისორები — ლ. ბაქრაძე, მ. ბაქრაძე, ოპერატორები — ა. შაფრანი, რ. მახათაძე.

ბოლო წლებში ჩვენს ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა სასურსათო ტალონები. ხალხი, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის ირგვლივ უკმაყოფილებას და საყვედურს ხშირად გამოხატავს, მაგრამ ასეთ „მოსარიდებელ" თემაზე ოფიციალურად არავინ საუბრობს, არც კინოეკრანიდან აჩვენებენ მათ. ამიტომ, მიუხედავად დღევანდელი საჯაროობისა, მეტად გასაკვირი იყო, რომ დოკუმენტურ ფილმში „ვინ არის მიწის პატრონი?" მსხვილი პლანით ვნახეთ ყველის, ხორცის, კარაქის ტალონები.

ბუნებრივია, ამ საჭირბოროტო პრობლემების სიმწვავე მაყურებლის ინტერესს გამოიწვევს, მაგრამ სურათში მხოლოდ [illegible], წარსულის ნაკლოვანებების მხილება და სხვათა შეცდომების კრიტიკა კი არ იმის, არამედ ჩანს ფილმის ავტორთა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სურვილი კინემატოგრაფის შესაძლებლობები გამოიყენონ იმის გასარკვევად, თუ რა არის საჭირო, რათა ბაზრის სიუხვე და ხარისხი მაღაზიაშიც გადმოვიდეს.

ფილმი მიზნად არ ისახავს დაწვრილებით გვიამბოს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს სოფლის მეურნეობა. ამისათვის რამდენიმე ფაქტიც საკმარისია: სასურსათო ტალონები, მაღაზიის ცარიელი დახლები, დამპალი ვაშლით სავსე მანქანის ძარები; არც იმ გზის ანალიზი ხდება, რომელიც დღემდე გამოვიარეთ — 30-იანი წლების კინოქრონიკიდან დამოწმებული [illegible] შრომის, სოციალისტური შეჯიბრებისა და კოლექტივიზაციის პროპაგანდის ყალბი პათეტიკით აღსავსე მცირე ფრაგმენტებიც ამბობენ სათქმელს. სურათის ავტორები შეეცადნენ ოფიციალური თხრობა მხატვრულ ქსოვილში მოექციათ. ფილმში რამდენჯერმე გამოჩნდება ჭარმაგი, თმაშეთეთრებული კაცი, რომელიც ბოსტანს თოხნის, თოხნის დინჯად, [illegible], ჩანს, რომ მუშაობა არ ეადვილება, მაგრამ მაინც თოხნის. იგი ჩვენს წარმოდგენაში არსებული გლეხის განზოგადებული სახეა, გარჯის, მიწის სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლო.

ფილმის პრეამბულად საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის გურამ მგელაძის სიტყვები იქცა. იგი თანამშრომლებს ავალებს დაეხმარონ კინოდოკუმენტალისტებს მუშაობაში, რათა ეკრანზე აისახოს სიმართლე, წინააღმდეგობები, სრულად გამოჩნდეს ნაკლოვანებები და ყველაფერმა ამან სარგებლობა მოუტანოს საერთო საქმეს. აგრომრეწვის თავმჯდომარის ეს მოთხოვნა ერთი მხრივ სახელმწიფოებრივ პოზიციას გამოხატავს და ამავე დროს დოკუმენტალისტებს შესაძლებლობას აძლევს სწორი გზით წარმართონ ფილმის გადაღება.

დოკუმენტური კინო, ისევე როგორც პრესა, გადაჩვეული იყო სერიოზულ საკითხებზე ღრმად და საქმიანად საუბარს, მოვლენის ყოველმხრივ შესწავლასა და გაანალიზებას. [illegible] ფილმში ხარვეზები აღმოჩნდეს, ავტორთა პოზიცია ტენდენციური მოგვეჩვენოს და თხრობა ზერელე, მაგრამ, ვფიქრობ, დღეს ეს სურათი ბევრი ადამიანის გულში პოვებს გამოძახილს.

ფილმში მრავალი მოქმედი პირია. სხვადასხვა ინსტანციისა და პროფესიის წარმომადგენელნი, სხვადასხვა კუთხიდან მცხოვრებნი, განსხვავებული პოზიციის გამომხატველნი. სწორედ ეს მრავალრიცხოვანი [illegible] ხდის ფილმს საინტერესოსა და საკითხს მნიშვნელოვანს [illegible].

ფილმის მსვლელობისას თანდათან, დამაჯერებელი მაგალითებით იკვეთება სათაურში დასმული კითხვის კონკრეტული პასუხი. მაგალითები კი ასეთია: ერთმა ოჯახმა 36 ჰექტარი ვენახი აიღო იჯარით და [illegible]; ადრე 40 ცენტნერზე მეტი სიმინდი რომ არასოდეს მოსულა, ახლა 80 მოდის; ერთი ოჯახი ხელმეწყობას თოხნის, სამაგიეროდ 30 ტონა ხორცს ჩააბარებს; კოოპერატივ „თელეთის" საქმიანობა უკვე ბევრისთვის არის ცნობილი. ყველაზე მცირე ხელფასი აქ 380 მანეთი ყოფილა...

ამ ფაქტებზე ფილმის ავტორები, რა თქმა უნდა, აღტაცებულნი ჰყვებიან, მაგრამ საკუთარი თუ მაყურებლის სიფხიზლისათვის კვლავ 30-იანი წლების პათეტიკას იხსენებენ: „ერთ წელიწადში ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მსხვილ სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცევა!" ბუნებრივია, რაც უნდა დიდი იყოს მდგომარეობის გამოსწორების იმედი და სურვილი, სოფლის მეურნეობის ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემა უმტკივნეულოდ და უბრალოდ არ მოგვარდება. ამიტომ ფილმშიც აისახა ის წინააღმდეგობები და ეჭვი, რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტას უშლის ხელს. სურათში არცთუ იშვიათად ისმის უნდობლობა, [illegible] ბიუროკრატიული აპარატის [illegible], „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან" და სხვა. ერთ-ერთი კოლმეურნეობის ღვაწლმოსილი თავმჯდომარე კოლექტივიზაციას საუკეთესო ფორმად თვლის, ეამაყება მიღწეული შედეგები; იჯარული მეთოდი ბევრ ოჯახს არ აძლევს ხელს — იგი მეტ საქმესა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ფილმიდან ნათლად ჩანს, რომ საქმის დასაწყისში აგრომრეწვის თავმჯდომარის გურამ მგელაძის შემთხვევით არ მოუთხოვია წინააღმდეგობების ასახვა. ცხოვრების აქამდე არსებული წესი, მეურნეობის სისტემა, გლეხის ფსიქოლოგიური ტიპი ჩამოყალიბდა, რომელთა ერთი ხელის დაკვრით გადაკეთება არ შეიძლება. ამიტომ, რაც უნდა მომხიბლავი იყოს ახალი წესი, იგი ფრთხილად და ტაქტით უნდა განხორციელდეს, ყოველი ადამიანის შინაგანი მზადყოფნის შემდეგ.

რეჟისორ ლეო ბაქრაძის სახელი ქართულ დოკუმენტურ კინოში 70-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. მისი ფილმები უფრო ხშირად საქართველოს გარეთ მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებს გვაცნობს. კინოსურათებმა „ცთო გატაცებული", „გული", „მრავალჟამიერი", „სიყვარული" საკავშირო კინოფესტივალთა პრესტიჟული პრემიები მოიპოვეს. ლ. ბაქრაძე, თითქმის ყოველთვის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, ძირითადად კინოპორტრეტებს იღებს და ამ მხრივ საინტერესო მიგნებები აქვს.

მიუხედავად ჟანრული სხვაობისა, არც ახალ სურათში უღალატია რეჟისორს თხრობის საკუთარი სტილისათვის — გამომსახველობითი თუ სიტყვიერი მასალის ზუსტი ორგანიზებით, დეტალების მატერიული გააზრებით, ემოციური თუ ლოგიკური სვლებით ნათლად ისახება სოციალური, ეკონომიკური თუ გეოგრაფიული გარემო, ადამიანი, საზოგადოება. მასალის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, ფილმში იუმორიც არის, სისხარტეც, მეტაფორული აზროვნებაც და ფაქტის სიმბოლური გააზრებაც. ამიტომ სურათი ოფიციალური მონაცემების, ციფრების, დადგენილებებისა და მოწოდებების კრებულად კი არ იქცა, არამედ ერთიან მხატვრულ ნაწარმოებად, რომელსაც მაყურებელი ემოციებით გაჰყვება.

ვიზუალური სიზუსტით, პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა ოპერატორების ანატოლ შაფრანისა და რევაზ მახათაძის ხელოვნება.

...იზანილთა ახალი დეპუტატი ქიზიყისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს — წყალს ეძებს. ფილმის მსვლელობის მანძილზე არაერთხელ ვხედავთ გურამ ჭიბიშვილს — ხან რუკებსა და ნახაზებთან დაფიქრებულს, ხან სამუშაო მოედნებთან. ასე რომ, ავტორისეული პოზიციის გამოხატვას მისი საქმიანობის დასრულებით ელოდები. მართლაც, ფინალში [illegible] მაგრამ, კვლავ გასული წლების პათეტიკის საპირისპიროდ, [illegible] წყალი კი არ ამოხეთქავს, არამედ ოდნავი სისველე შეეპარება მიწას.

მეტაფორა, ალბათ, ასე უნდა წავიკითხოთ: აგრომრეწვის წამოწყებული საქმე სწორ გზაზე დგას, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ კარგა მანძილია.

ნინო ნატროშვილი.

უცხოეთში

საკდესი იუწყება
28 მაისი

მოვლენის წინ

შაღრმსად საჭირო დიალოგი

მოსკოვი მზად არის საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ოფიციალური ვიზიტისათვის, რომელიც დღეს იწყება. რამდენიმე დღის განმავლობაში მსოფლიო გახდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეოთხე უმაღლესი დონის შეხვედრის მოწმე და მემატიანე, რომლის დაწყებისკენაც მიმართულია მთავრობებისა და ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. მასთან არის დაკავშირებული იმედი, რომ დაიწყება ძლევამოსილი მოძრაობა უშიშროებისა და განიარაღების საკითხების, აფეთქებასაშიში რეგიონული კონფლიქტების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგის ყველა სფეროში. მასთან არის დაკავშირებული იმედი იმისა, რომ სსრ კავშირი და შეერთებული შტატები შეძლებენ მიაღწიონ ურთიერთგაგების ახალ დონეს.

მოსკოვის შეხვედრისა და საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების გზა, როგორც ცნობილია, უბრალო და იოლი არ ყოფილა. იგი გაიწმინდა მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესების მეოხებით, რომელიც სსრ კავშირის გაბედული ინიციატივიანი საგარეო პოლიტიკის, საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადების შედეგია, ხელშეკრულებისა, რომელიც პირველი რეალური წინგადადგმული ნაბიჯია უბირთვო მსოფლიოს გზაზე. უპასუხა რა გაზეთების „ვაშინგტონ პოსტისა" და ჟურნალ „ნიუსუიკის" კითხვებს, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: **„დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოში ჩაისახა და ვითარდება პოზიტიური ტენდენციები. ხდება შემობრუნება კონფრონტაციისაგან თანაარსებობისაკენ. „ცივი ომის" ქარს ცვლის იმედის ქარი. და ვხედავ, რომ ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების, გაჯანსაღების ნიშნები".**

თითქოს ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ სწორედ პრეზიდენტი რეიგანი, რომელმაც სსრ კავშირის მიმართ მკაცრი კურსის გამტარებლის რეპუტაცია მოიპოვა, ხელს მოაწერდა ჩვენს ქვეყანასთან ისტორიაში პირველ შეთანხმებას ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ. უდავოდ ქებას იმსახურებს თეთრი სახლის მეთაური, რომელმაც ახლებურად შეხედა არსებულ რეალობებს. ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინაშე ხომ დასახულია უკეთილშობილესი ამოცანა: თავიდან ააცილონ ჩვენს ხალხებსა და მთელს კაცობრიობას ბირთვული კოშმარი, კონსტრუქციულ საფუძველზე ააგონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, გააჯანსაღონ საერთაშორისო ვითარება. უმაღლესი დონის შეხვედრის გამო გამოსვლაში რ. რეიგანმა აღნიშნა: **„სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა ახლა უფრო სტაბილური ხასიათისაა, მაგრამ კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოგვიწევს. უაღრესად საჭიროა საბჭოთა ხელმძღვანელთან ჩვენი მოლაპარაკება. მე იგი ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების გაფართოების საწინდრად მიმაჩნია".**

საზღვარგარეთის კომენტარებში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ სსრ კავშირი გულწრფელად ესწრაფვის ბირთვული არსენალების არსებით შემცირებას, დიალოგის გაფართოებასა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაჯანსაღებას. „მ. ს. გორბაჩოვი მიესალმება საქმის ისეთ მიმდინარეობას, რომლის დროსაც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ შეთანხმება მომზადდება და დაიდება ჯერ კიდევ ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის დროს", — აღნიშნავს იტალიის გაზეთი „ჯორნო". „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, გამალებული კოსმოსური შეიარაღების ნაცვლად კოსმოსში მშვიდობიანი თანამშრომლობა განავითარონ", — წერს იაპონიის „სანეი სიმბუნი".

კონტაქტები

ეცნობიან ქართულ ხელოვნებას

სსრ კავშირის დღეები ავსტრიაში

ვენა. **საქართველოს უმდიდრესი კულტურული ცხოვრების ამსახველს უწოდებს ავსტრიული პრესა ამჟამად ავსტრიის დედაქალაქში მიმდინარე ქართველ ფერმწერ ოსტატთა გამოფენებს.** ერთ-ერთი მათგანი, რომელზეც წარმოდგენილია ხუთი ქართველი მხატვრის ნამუშევრები, გვიჩვენებს უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების თავისებურ ეტაპებს. ვანო მელიაშვილის ნაწარმოებები, რომლებზეც ასახულია ქართული ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდი, ზურაბ ნიჟარაძის სულ სხვადასხვაგვარი ჟანრების ტილოები, თენგიზ მირზაშვილის ბუნების ღრმა ხედვით გამსჭვალული ლანდშაფტები, ედმონდ კალანდაძის ექსპრესიონიზმი, რუსუდან ფეტვიაშვილის გრაფიკული ნამუშევრები საშუალებას აძლევს ავსტრიელ ფერწერის მოყვარულთ გაეცნონ საბჭოთა საქართველოს სახვითი ხელოვნების მრავალმხრივ განვითარებას.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების შენობაში მოწყობილია ნატალია ფალავანდიშვილის გამოფენა, რომელმაც წარმოადგინა როგორც გრაფიკული, ისე ფერწერული ნამუშევრები, ფაქიზად ნაგრძნობი ქართული ლანდშაფტები, ძველი თბილისის „პორტრეტები", სოფლის ცხოვრების შინაგანი ენერგიით აღსავსე ჟანრული სცენები და დიდებული პორტრეტული ნაწარმოებები თითქოსდა ასახავენ ორ პოლუსს მხატვრის შემოქმედებაში, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება და მშვენივრად ავსებს ერთმანეთს.

ქართული ხელოვნების გაცნობის საშუალება მხოლოდ ავსტრიის დედაქალაქის მცხოვრებლებსა და სტუმრებს როდი აქვთ. ამჟამად ავსტრიაში მიმდინარე სსრ კავშირის დღეების ფარგლებში, რომლის წარმოდგენის პატივი წლეულს საქართველოს სს რესპუბლიკას ხვდა, ავსტრიის ქალაქებსა და ფედერალურ მხარეებში ეწყობა გამოფენები, ქართველ მუსიკოსთა და მოცეკვავეთა კოლექტივების გამოსვლები, ქართული სამზარეულოს კვირეულები. დღეების თავისებური ცენტრია ტიროლი, რომელთანაც საქართველოს პარტნიორული კავშირურთიერთობა აქვს.

ფოტოფაქტი

ავღანეთის რესპუბლიკა. მიმდინარეობს საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის დაბრუნება სამშობლოში.
სურათზე: ბოლო შეხვედრები ჯელალაბადის მიწა-წყალზე.
საკდესის ფოტო.

● ირანი

მოლაპარაკება არ სურთ

ლონდონი. **ირანის პრეზიდენტმა ალი ხამენეიმ გამორიცხა ერაყთან საომარი კონფლიქტის კომპრომისული გადაწყვეტის შესაძლებლობა, რომელიც შვიდწელიწად-ნახევარია გრძელდება.**

როიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ირნას სააგენტოს, იუწყება, რომ ხამენეიმ, თეირანის უნივერსიტეტში რელიგიურ ცერემონიაზე გამოსვლისას, განაცხადა, რომ ირანი არ აპირებს დათმოს თავისი პოზიციები და არ მიიღებს წინადადებებს ცეცხლის შეწყვეტის მიზნით მოლაპარაკების შესახებ. შეეხო რა ფაოს ნახევარკუნძულზე და ქალაქ შალამჩის რაიონში ერაყის ამასწინანდელ სამხედრო ოპერაციებს, პრეზიდენტმა მათ „შემთხვევითი ფსევდო-გამარჯვებები" უწოდა.

◆ ავღანეთი

მოითხოვენ გამოძიებას

ქაბული. **დღითიდღე იზრდება პაკისტანიდან იარაღის გადატანა და მისი საწყობში მოთავსება ავღანეთის ტერიტორიაზე, ნათქვამია ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ავღანეთსა და პაკისტანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფთან კავშირ-ურთიერთობის განყოფილების ნოტებში.** როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, პარასკევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის გადაცემულ დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ამ მოქმედების გამოძიება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობის ყურადღება მიაპყრეს აგრეთვე იმას, რომ პაკისტანის ტერიტორიაზე შენარჩუნებულია და მოქმედებას განაგრძობენ ექსტრემისტულ ფორმირებათა ბიურო, მომზადების ცენტრები, ბაზები და იარაღის საწყობები. ჟენევის შეთანხმების ხელმომწერი ყველა მხარე მოვალეა პატიოსნად დაიცვას ისინი, ნათქვამია ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტებში.

სპარსეთის ყურე

თავდასხმა გემზე

ლონდონი. პარასკევს სპარსეთის ყურის შესასვლელთან ორმუზის სრუტეში სწრაფმავალი კატარღები თავს დაესხნენ მალტის მშრალტვირთიან გემს „დონ მიგელს". როგორც როიტერის სააგენტო აღნიშნავს, 18 ათასი ტონა წყალწყვის ხომალდს დილით ცეცხლი დაუშინეს ირანის კატარღებმა. მის სამანქანო განყოფილებასა და საცხოვრებელ ნაკვეთურში გაჩნდა ხანძარი.

მხატვრის თვალით

„ტერორი და ძალმომრეობა სამხრეთ აფრიკის შავკანიან უმრავლესობასთან პრეტორიის რასისტული რეჟიმის „ურთიერთობის" ერთადერთი საშუალებაა" (გაზეთებიდან).

აპარტეიდის რეჟიმის მეთაურის პიტერ ბოტას „პოლიტიკური პორტრეტი".
ნახატი „კიგლზ დეილი უორლდიდან" (აშშ).

● აშშ

მოიწონეს რეზოლუცია რატიფიკაციის შესახებ

ვაშინგტონი. **ამერიკის კონგრესის სენატმა 93 ხმით ხუთის წინააღმდეგ მოიწონა რეზოლუცია საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მოსპობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.** ეს ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს შარშან 8 დეკემბერს ვაშინგტონში სსრ კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს, ითვალისწინებს საიმედო კონტროლის ქვეშ საშუალო და ნაკლები სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების მოსპობას.

რეზოლუცია რატიფიკაციის შესახებ მოიწონეს ცხრა დღის კამათის შემდეგ. განხილვის მსვლელობაში კონსერვატიულად განწყობილი სენატორების ჯგუფი მრავალგზის შეეცადა სხვადასხვა „შესწორებები" შეეტანა ხელშეკრულების ტექსტსა და რატიფიკაციის შესახებ რეზოლუციის პროექტში.

მაგრამ ყველა ეს ცდა ხმის უმრავლესობით უარყვეს. მაგალითად, განხილვის ბოლო დღეს 66 ხმით 30-ის წინააღმდეგ უარყვეს სენატორ მალკოლმ უოლოპის (რესპუბლიკელი ვაიომინგის შტატისაგან) შესწორება, რომელიც მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების გამოსვლას ხელშეკრულებიდან იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდებოდა „ეჭვი", რომ თითქოს სსრ კავშირი „არღვევს" შეთანხმების დებულებებს.

ამის შემდეგ კანონმდებლებმა 86 ხმით 10-ის წინააღმდეგ უარყვეს სენატორ ლერი პრესლერის (რესპუბლიკელი სამხრეთ დაკოტის შტატისაგან) შესწორება, რომელიც შეეცადა ხელშეკრულება დაეკავშირებინა ეგრეთ წოდებულ „ადამიანის უფლებათა პრობლემასთან".

● საფრანგეთი

მშვიდობის მომხრეთა პროტესტი

პარიზი. **საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთმა გასულ ოთხშაბათს წყნარი ოკეანის სამხრეთში მურუროას ატოლზე მოაწყო მორიგი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.** საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის წინ ამგვარი აქციის განხორციელება სრულიადაც არ არის შემთხვევითი, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობის განცხადებაში. ფრანგი მშვიდობის მომხრეები აცხადებენ, რომ ახალი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება ნიშნავს საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრის აგდებას, ქვეყნის მმართველი წრეების უარს იმ მოთხოვნაზე, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ განიარაღების პროცესში.

კონტაქტები

ხვალ ჩვენს რესპუბლიკაში იწყება ტომსკის ოლქის კულტურის დღეები, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ხვალვე საზეიმოდ გაიხსნება სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

კულტურის დღეები რესპუბლიკის მშრომელებს გააცნობს ოლქის კულტურის მიღწევებს, რესპუბლიკას ეწვევა ამ მხარის წარმომადგენლები, მრავალი შემოქმედებითი კოლექტივი თუ შემსრულებელი, მათ დაეთმობათ საუკეთესო დარბაზები.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, შარშან, შუა დეკემბერში ციმბირის ამ უძველეს კულტურულ და სამეცნიერო ცენტრში ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა საქართველოს კულტურის დღეები. ამჯერად ეს ტომსკელთა საპასუხო სტუმრობაა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ცხოველი და გულწრფელი ინტერესით ელოდებიან ამ დღეებს.

სიტყვას ვაძლევთ ტომსკში საქართველოს კულტურის დღეების მონაწილეებს.

მიხეილ ქვლივიძე,
პოეტი.

რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში ვყოფილვარ, ზოგან მიცხოვრია კიდეც, მაგრამ ლენინგრადის მსგავსად, ყველაზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება ჩემში ტომსკმა დასტოვა. მან მომხიბლა არა მარტო თავისი სილამაზით (მხედველობაში მაქვს ხის სახლების უნიკალური არქიტექტურა), არამედ, უწინარეს ყოვლისა, თავისი ხალხით. ტომსკი, ჩემი აზრით, უაღრესად რუსული ეროვნული ქალაქია, ისეთი, მაგალითად როგორც ჩვენთვის ქუთაისია. შემთხვევით როდი უწოდებენ ტომსკელები თავიანთ ქალაქს „ციმბირის ათენს".

ძველი რუსული კულტურის კვალი აქ ყველგან და ყველაფერში შეიმჩნევა: ინტელიგენციის წარმომადგენელთა დახვეწილობაში, რომლებიც თავიანთი ღირსებითა და პატრიოტიზმით თითქოს ოდესღაც აქ მეფის მთავრობის მიერ გადმოსახლებულ დეკაბრისტთა უშუალო მემკვიდრენი არიან, უძველეს უნივერსიტეტშიც და საოცრად მდიდარ სახელმწიფო ბიბლიოთეკაშიც, რომელიც მსოფლიოში ცნობილ წიგნთსაცავებს ტოლს არ დაუდებს, ქალაქის ცხოვრების აუჩქარებელ რიტმში და კიდევ სხვა მრავალ ფაქტსა თუ მოვლენაში, რაშიც რუსული ხასიათის თავისებურება ვლინდება.

მე ძლიერ მიხარია, რომ პატივი მერგო შარშან ტომსკში წარგზავნილი საქართველოს დელეგაციის წევრი ვყოფილიყავი და დღეს საპასუხო ვიზიტად თბილისში ჩამოსულ ტომსკელ მეგობრებს, მათ შორის კი განსაკუთრებით ტომსკელ მწერალთა ხელმძღვანელს, შესანიშნავ ადამიანს ალექსანდრე კაზანცევს ალალი გულით ვეუბნები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ტომსკელებო".

მეგობრობის ზეიმი

სოფიკო ჭიაურელი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ჭეშმარიტად რუსული სული შეგვაგებეს ტომსკელებმა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს, იმათ, ვინც ვმონაწილეობდით საქართველოს სსრ კულტურის დღეებში.

სტუმართმოყვარე ტომსკის მიწა-წყალზე ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა ქართული კულტურისადმი დიდი ინტერესი. რომელი ერთი შეხვედრა გავიხსენო, ერთი კი ცხადია, ჩვენ უამრავი თაყვანისმცემელი შევიძინეთ.

კულტურის დღეებმა დაგვანახვა, რამდენი რამ აქვე ტომსკელებს საამაყო წარსულშიც და დღესაც, როგორ მდიდრდება დღეს მათი სულიერი ცხოვრება.

და აი, ახლა ჯერი ჩვენზეა — ოთხი დღის მანძილზე ვმასპინძლობთ ტომსკის ოლქის წარმომადგენლებს. მჯერა, რომ ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება. მათი სტუმრობა ძმობისა და მეგობრობის ნამდვილ ზეიმად გადაიქცევა. მწამს: ეს დღეები კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, რომ ეროვნულ კულტურას საზღვარი არა აქვს, რომ იგი მთლიანად გასაგები და ახლობელია ყველასათვის, ვინც მას გაეცნობა.

მაია თომაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

არასოდეს დამავიწყდება ის დიდი სითბო და სიხარული, რომლითაც მიგვიღეს ტომსკში ქართული კულტურის დღეების მონაწილენი. ეს სითბო მუდამ თან გვდევდა, ყოველ ნაბიჯზე. მან გაალხო ციმბირული ყინვები და ზამთარი დაგვავიწყა. საზეიმო განწყობილება სუფევდა ყველგან. იგი ეტყობოდა ყველაფერს, ქუჩებს, დარბაზებს, სასტუმროსაც კი, განსაკუთრებით მოგვხიბლა იქაურმა ხალხმა თავისი უშუალო და ხალასი დამოკიდებულებით.

მიხარია, რომ ტომსკელებს ამჯერად ჩვენს მიწაზე შევხვდებით, და მასპინძლობის საშუალება მოგვეცემა. მივესალმები დელეგაციის ყველა წევრს, ყველა შემოქმედს. მახარებს, რომ კვლავ შევხვდები ტომსკის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრს და მის მთავარ დირიჟორს ილმარ ლაპინშს, რომელთანაც მე შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს. მე მას რამდენიმე წლის წინათ შევხვდი საკავშირო ფესტივალზე, მისი დირიჟორობით მაშინ რამდენიმე ნაწარმოები შევასრულე.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

⊙ **თბილისში** დიდი წარმატებით გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ჰარლემ-ბალეტის გასტროლები.

ამ საბალეტო დასს, რომელიც თვრამეტი წლის წინათ შექმნა ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის, ჩვენი თანამემამულის ჯორჯ ბალანჩინის მოწაფემ რობერტ მიტჩელმა, ამ ხნის მანძილზე მრავალი წარმატება და აღიარება ხვდა წილად როგორც შტატებში, ისე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

სურათზე: ამერიკული საბალეტო სპექტაკლის სცენა.

მხოლოდ შექსპირი

⊙ **ინგლისის** ერთ-ერთმა წამყვანმა სასცენო კოლექტივმა — დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრის დასმა მოსკოვში დაიწყო ტურნე, რომელიც შემდეგ გაგრძელდება იაპონიაში, საბერძნეთში და იტალიაში. 27 მაისს მისი გასტროლები გაიხსნა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის — („მხატის") შენობაში.

აფიშაზე მხოლოდ შექსპირია. დიდი დრამატურგის სამი პიესა — „ციმბელინი", „ზამთრის ზღაპარი" და „ქარიშხალი" თეატრმა ერთ მთლიან სპექტაკლად დადგა.

— სულ ცოტა ხნის წინ მათი პრემიერა გაიმართა ლონდონში, ახლა კი ჩვენი ახალი ნამუშევარი საბჭოთა მაყურებლებმა უნდა შეაფასონ,— თქვა თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა პიტერ ჰოლმა. — ჩვენთვის ცნობილია, რომ სსრ კავშირში შექსპირის დადგმების დიდი ტრადიციაა. მე თვითონ ვნახე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური დრამის თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ III" და ფილმი „ჰამლეტი", რომელშიც მთავარ როლს ინოკენტი სმოქტუნოვსკი ასრულებს.

დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრი მოსკოვში ცხრა წარმოდგენას გამართავს. შემდეგ დასი თბილისში გამოვა. შემოდგომაზე კი დიდ ბრიტანეთში საგასტროლოდ გაემგზავრებიან „მხატის" დასი ო. ეფრემოვის მეთაურობით და რუსთაველელები თავიანთი მთავარი რეჟისორის რ. სტურუას ხელმძღვანელობით.

▼ ▼

გვეწვიეთ სიმღერის დღესასწაულზე

⊙ **დღეს** ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში გაიმართება ქართული სიმღერის სახალხო დღესასწაული „სულიკო-88".

მიმდინარე წლის დღესასწაულის მიზანია იმერული ფოლკლორული სიმღერების აღდგენა და მისი პოპულარიზაცია.

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან აგრეთვე ზესტაფონთან დამეგობრებული ქალაქების ლიტვის ტაურაგეს, სომხეთის თუმანიანის, უკრაინის ელეცის და ესტონეთის დედაქალაქ ტალინის მხატვრული ფოლკლორული კოლექტივები.

ქართული სიმღერის ყველა მოყვარულს გულთბილად იწვევს საქვეყნოდ ცნობილი „სულიკოს" სამშობლო, სოფელი ცხრაწყარო.

▼ ▼

მწერალი შეხვდა მკითხველებს

⊙ **გორის** ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კულტურისა და ტექნიკის სასახლეში გაიმართა შეხვედრა მწერალ მერაბ ელიოზიშვილთან.

შეხვედრაზე მოვიდნენ ფეიქრები, მოსწავლე ახალგაზრდები, მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლები.

გაიმართა საინტერესო საუბარი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ლიტერატურის დანიშნულებაზე, მწერლის მოვალეობაზე — ტრიალებდეს ცხოვრების შუაგულში, თავის ნაწარმოებებში მართლად ასახოს ჩვენი გმირული დღეების ჰეროიკა.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

სპორტი

გია გიორგაძე — საქართველოს ჩემპიონი

◆ **გუშინ** საზეიმოდ დაიხურა საქართველოს 1988 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში (უმაღლესი ლიგა) ვაჟთა შორის, რომელიც ამავე დროს საკავშირო პირველობის მონაწილეთა ერთ-ერთი შესარჩევი საფეხური იყო და ორი გამარჯვებული საქართველოს პირველობიდან საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლებას იღებდა.

ტურნირი ყველაზე უკეთ ახალგაზრდა ოსტატმა გია გიორგაძემ წარმართა, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულით პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება. უნდა აღინიშნოს 20 წლის ოსტატობის კანდიდატის თამაზ ტაბატაძის დიდი წარმატება. მან 9,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, ერთი ქულით გადააჭარბა ოსტატის ნორმას და საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშის უფლებაც მოიპოვა. 8,5 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა ოსტატი გია ბაღათუროვი.

კაპაბლანკას მემორიალი

◆ **კუბაში** მიმდინარეობს ხოსე რაულ კაპაბლანკას ტრადიციული მემორიალი. შეჯიბრება რამდენიმე ჯგუფად ეწყობა. მთავარ ინტერესს, ცხადია, დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი და ქალთა ასპარეზობა იწვევს. ქალთა საერთაშორისო ტურნირს 8 ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ქართველი დიდოსტატები ქეთევან არახამია და ნინო გურიელი ლიდერობენ. მათ ორ-ორი პარტია მოიგეს და ერთმანეთთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს.

მაია თამაშობს „სწრაფ ჭადრაკს"

◆ **ბისონში** (შვეიცარია) იწყება ევროპის პირველობა „სწრაფ ჭადრაკში", რომლის დროსაც მოთამაშეს მთელ პარტიაზე სულ ნახევარი საათი ეძლევა. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი ბევრმა ცნობილმა დიდოსტატმა გამოთქვა, მათ შორის — მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ და მსოფლიო ექს-ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, რომელიც ბისონში ამსტერდამიდან ჩავა, სადაც ოთხთა ტურნირში ასპარეზობს. ბისონში შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ეწყობა, 13 ტურად და 4 ივნისს დამთავრდება.

მოკლედ

◆ **რაგბი.** გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: ქუთაისის „მშენებელი"-ტაშკენტის „ზვეზდა" — 31:21, თბილისის „ელმავალი"-ალმაათის აძკ — 18:12, მოსკოვის „ლოკომოტივი"-მოსკოვის „ფილი" — 8:8, კრასნოიარსკის „ენისეი-ტროპიკ"-მოსკოვის „სლავა" — 12:38, კიევის „ავიატორი"-ტირასპოლის „ელექტრომაში" — 30:22.

◆ **ძიუდო.** ლენინგრადში დამთავრებულ იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 8 წონითი კატეგორიიდან შვიდში პირველი ადგილები დაისაკუთრეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათგან სამი ჩვენი რესპუბლიკიდანაა. ესენი არიან სოხუმელი მ. თვალაძე, ქუთაისელი დ. ხახალეიშვილი და თბილისელი ვ. პარტაშვილი.

ასე გრძელდება...



თბილისის მე-18 სამშენებლო საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პატრიოტულ თაოსნობას რვა წლის წინათ მიეცა დასაბამი და დღესაც მისაბაძი გულმოდგინებით გრძელდება.

ყომრალი ღრუბელი მტკვრის სანახებიდან თანდათან შემაღლდა და ისეთი შრიალი ამოიყოლა, ტალღა რომ ააჩქამებს ხოლმე ხვიჩვიან ნაპირებს. ჯერ კანტიკუნტად ჩამოიმარცვლა მსხვილ-მსხვილი წვეთები, მერე უცებ მოხსნა პირი და, რომ იტყვიან, ცა ფეხად ჩამოვიდა. სხალტბის კლდეზე ღვარცოფები გადმოსკდა, ზედა ეზო დატბორა, მშრალი ხევებიდან მოვარდნილმა მღვრიე, ქაფიანმა ნაკადებმა ორივ მხრიდან შეუტია მონასტერს.

როდის-როდის შეაჩვია თვალი იოანე ნათლისმცემლის ტაძარში უამინდობისაგან შედედებულ სიბნელეს. ფრესკა თანდათან გამოიკვეთა და... ნოდარი გაშეშდა — თვალი ჰკიდა, როგორ ჩამოუგორდა ლაწვზე ცრემლი ღვთისმშობელს. ღვთისმშობელი ტიროდა...

მერელა მიხვდა: წვიმამ შემოატანა თითქმის იავარქმნილ ტაძარში. და კედელზე ჩამოღვენთილმა წვეთებმა საბოლოოდ მოამწიფა „დაზვერვაზე" ამოსული დირექტორის გადაწყვეტილება: დათანხმებოდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის წინადადებას — ხელი მოეკიდა შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციისათვის.

...ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ ოფიციალურად გადასცა თბილისის მე-18 სამშენებლო საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს შიომღვიმე აღსადგენად და დასაცავად. ახალბედა რესტავრატორებს მრჩევლად და დამხმარედ არქიტექტორი ვიქტორ ჯორბენაძე ჰყავდათ. კონსულტაციას უწევდნენ აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე და პროფესორი ვახტანგ ცინცაძე. მას შემდეგ თითქმის რვა წელიწადი გავიდა...

გასაკეთებელი უამრავი რამ იყო, მაგრამ სასწავლებლის დირექტორს ნოდარ კუჭავას წუთით არ შეპარვია ეჭვი, რომ მისი მოსწავლეები თავს გაართმევდნენ საქმეს. განა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სარესტავრაციო სამუშაოების გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდათ (მანამდე აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის ძველი უბნების აღდგენაში), სჯეროდა, რომ ეროვნული საქმით მოსწავლეთა დაინტერესება სასურველ შედეგს გამოიღებდა. და მართლაც, როგორც კი სასწავლებელში ხმა დაირხა, სარესტავრაციო სამუშაოებზე მხოლოდ მოწინავეებს — სწავლაში წარჩინებულებს, აქტივისტებს და ყველაზე დისციპლინიანებს წაიყვანენო, ხელმოთავებული ზარმაცებიც კი გამოცოცხლდნენ. თეორიული და პრაქტიკული სწავლების დღეები ისე დაჯგუფდა, რომ ბრიგადები — სასწავლო ჯგუფები მონაცვლეობით მთელი თვით მიდიოდნენ შიომღვიმეში.

საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი მიწისა და ქვალორღისაგან გაიწმინდა და კეთილმოეწყო ეზო, კაპიტალურად შეკეთდა „ბერთა სადგომი", „კათალიკოსის სასახლე", იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის მიძინების ტაძრები, სამრეკლო „გივი ამილახვრის კოშკი"...

ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. ის, რაც გაკეთდა მე-18 სასწავლებლის ხელმძღვანელობის, ოსტატ-პედაგოგებისა და მოსწავლეების ენთუზიაზმითა და პატრიოტული მონდომებით, ფულად საფასურზე თუ გადავიყვანთ, დაახლოებით 600 ათას მანეთს მიაღწევს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველაფერი ბუმერანგივით დაუბრუნდათ უკან. შიომღვიმის სარესტავრაციო სამუშაოებმა მორალურად გაამდიდრა და აამაღლა სასწავლებელი: იმავე წელს მილიციის აღრიცხვიდან 23 ძნელად აღსაზრდელი მოიხსნა, ხოლო ახალი კონტინგენტის მიღების გეგმა ვადამდე დიდი ხნით ადრე შესრულდა; პირველად რესპუბლიკაში (და კავშირშიც) აქ ჩამოყალიბდა ახალი, რესტავრატორის სპეციალობის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელად (საწარმოო სწავლების ოსტატად) ცნობილი ხელოვანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი ნოდარ აბრამიშვილი მიიწვიეს. ეს სპეციალობა დღეს იმდენად პოპულარულია, რომ ამ ჯგუფში ჩარიცხვის მსურველთ ვერც კი აუდიან და მოსწავლეებს სპეციალური გამოცდებით არჩევენ.

სარესტავრაციო საქმიანობაში მიღწეულმა პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდებს. მალე მათ შიომღვიმისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიისა და მგალობლიანთკარის ეკლესიის აღდგენა ითავეს. მცირე დარბაზული ტიპის ეს ტაძრები იმდენად იყო იავარქმნილი, რომ სპეციალისტებიც კი საეჭვოდ მიიჩნევდნენ მათ აღდგენას — დაე, თავისი სიკვდილით „მოკვდნენო". დღეს კი ისინი პირველქმნილი მშვენიერებით გვხიბლავენ.

რესტავრატორებისა და კალატოზთა ჯგუფების მოსწავლეებმა ნარიყალაზე გაიარეს საწარმოო პრაქტიკა. ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეოდ კი სოფელ საგურამოში „ყვავის ეკლესიას" დაუბრუნეს პირვანდელი სახე.

ეს სარესტავრაციო სამუშაოები, მათი დიდი მოცულობის მიუხედავად, უსასყიდლოდ შესრულდა; არც ერთი სახელმწიფო კაპიკი არ დახარჯულა. სამშენებლო მასალებიც კი თავიანთ საბაზო ორგანიზაციას „ამიერკავკასტრანსმშენს" გამოსთხოვეს. ყველა ნახელავმა საექსპერტო კომისიისაგან „ფრიადი" შეფასება დაიმსახურა.

პატრიოტულმა თაოსნობამ, სარესტავრაციო-აღდგენით სამუშაოებში მოსწავლეთა ჩაბმამ სასწავლებელში მკვეთრად აამაღლა აკადემიური წარმატების დონე. იმან, რომ პროფესიულ ცოდნასაც იმდიდრებენ და დიდ სულიერ განძსაც იძენენ, ყმაწვილებში გაალვიძა საქართველოს ისტორიის შესწავლის ინტერესი; ხარბად კითხულობენ და აგროვებენ ლიტერატურას საქართველოს ისტორიასა და ხელოვნებაზე. მათმა ასეთმა გატაცებამ სასწავლებლის ხელმძღვანელობას აფიქრებინა შეექმნა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრე — „ქამთაბერის დარბაზი"; ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, კონფერენციები და თემატური ექსკურსიები. მარშრუტები, მართლაც რომ, შესაშურია: ყინწვისი, დავით გარეჯი, გელათი, უფლისციხე...

კაცი რომ დიდ საქმეს შეეჭიდება, ხასიათს მაშინ გამოავლენს. თავიანთ მოსწავლეებს შრომასა და სწავლაში მხარში უდგანან საწარმოო სწავლების ოსტატები ვახტანგ მუნჯიშვილი, გიორგი მუჯირი, თემურ ხაჩიძე და სხვები. ეს მათი წვლილია, აღსაზრდელებს — მომავალ მშენებლებს ასე ღრმად რომ ესმით თავიანთი მოვალეობა— ხვალ, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რესპუბლიკის ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზე ავიდნენ შიომღვიმისა და ნარიყალას ამგებთა ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებად. ეს რომ მალუძთ, საქმითაც ხომ დაამტკიცეს: ორიოდ წლის წინათ სრულიად დამოუკიდებლად ააგეს რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი მუხიანის დასახლებაში, დღეს კი სტიქიით დაზარალებულ სვანთათვის თეთრი წყაროს რაიონში სოფელს აშენებენ, რაც, ალბათ ცალკე საუბრის თემაა...

ასე გრძელდება ფესვძლიერი მემკვიდრეობა!

ალ. ასლანიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

„ძეგლის მეგობრის" დღემ გვიხმო!

ამოდით ნარიყალაზე...

ამ ბოლო წლებში ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობას. ამ მხრივ არაერთ საინტერესო წამოწყებასა თუ ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, საქართველოს საპატრიარქო, ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა და ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებანი ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, რის წყალობითაც უკვე აღდგენილი და გადარჩენილია მრავალი ისტორიული ძეგლი.

ციხე-ტაძრების, ეკლესია-მონასტრების, კოშკებისა თუ ბაზილიკების გაწმენდა-გასუფთავება და რესტავრაცია, მართლაც რომ, დიდ დროსა და ენერგიას, სათანადო ცოდნასა და ფაქიზ დამოკიდებულებას საჭიროებს. ამიტომაც მარტო რესტავრატორები ვერაფერს გახდებიან, თუ მხარში არ ამოუდგა მთელი საზოგადოება.

ძეგლებზე ზრუნვა ჩვენსავე ისტორიაზე ზრუნვაა და, ამდენად, ყველა მოვალეა, თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში... თითო ისტორიული ძეგლის შეფობა რომ იკისროს თითო ორგანიზაცია-დაწესებულებამ, ალბათ, საქმეც უფრო იოლად მოგვარდება. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ აღდგენით სამუშაოებში. ამგვარი პრაქტიკა ხომ მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის შესანიშნავი საშუალებაა.

დღეს ქალაქად თუ სოფლად ხშირად შეხვდებით ენთუზიასტებს, რომლებიც თავისუფალ დროსაც პოულობენ და უანგაროდაც უდგანან მხარში რესტავრატორებს.

უკვე ოთხი წელია, რაც ნარიყალას ციხეზე ყოველ კვირა დღეს ავდივართ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1971 წლის კურსდამთავრებულნი, ძველი ყამირელები, დაახლოებით ორმოცი კაცი.

კარგად მახსოვს ის დღე, როცა თანაჯგუფელმა, ამჟამად ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა რომან გვენცაძემ თავი მოგვიყარა და ჩანაფიქრიც გაგვანდო: — მოდით, ბიჭებო, ყოველ კვირა დღეს ნარიყალაზე ავიდეთ... ერთმანეთსაც არ დავკარგავთ და, როგორც შეგვეძლება, იქაურობასაც მივხედავთ!.. მიხედვაში რომ უბრალო თავშეყრას არ გულისხმობდა, ცხადზე ცხადი იყო, და ჩვენც უყოყმანოდ დავთანხმდით. მალე რესტავრატორებსაც გავუზიარეთ ჩვენი გულისთქმა. მხარი დაგვიჭირეს, ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსმა, ირაკლი ციციშვილმა ნარიყალას მთავარ არქიტექტორ-რესტავრატორს ტარიელ კიპაროიძეს დაავალა ჩვენი ხელმძღვანელობა. ტარიელმა ხელსაწყო-იარაღით მოგვამარაგა, ნაწილი ჩვენვე შევიძინეთ და საქმესაც შევუდექით!

თანდათან ქვა-ღორღისგან გავასუფთავეთ ციხის კედლების ნაწილი, ტერიტორიიდან გავზიდეთ ათასობით კუბური მეტრი მიწა; მთლიანად გავანთავისუფლეთ მიწითა და ნანგრევებით ჩახერგილი კარიბჭე; აღმოვაჩინეთ და 50 მეტრის სიგრძეზე აღვადგინეთ ბოტანიკური ბაღის ხევიდან ციხე-გალავანში შემავალი საიდუმლო გვირაბი, რომელსაც, ეტყობა, ავბედობის ჟამს წყლის ამოსატანად იყენებდნენ; გავწმინდეთ ციხის ტაძრის კედელთა ნარჩენებიც...

ამ სამუშაოთა შესასრულებლად სათანადო ტექნიკა დაგვჭირდა, რომლის შეზიდვა ერთობ გაგვიძნელდა, უგზოობის გამო. ჩვენს თხოვნას, მართლაც რომ, გულით მოეკიდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე, და ყველაფერი იღონა გზის გასაყვანი ტერიტორიის გამოსანთავისუფლებლად.

ასე დავიწყეთ 300 მეტრიანი გზის გაყვანა. სამუშაოებს, ძირითადად, ხელით ვასრულებდით. მას შემდეგ კი, რაც თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ზორიკ ჭილვარიამ ბულდოზერიც მოგვაშველა, საქმე უფრო იოლად წაგვივიდა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ემზარ ტურძელაძის მხარდაჭერით დროულად შემუშავდა გეგმა და ერთ თვეში გზაც მოვამთავრეთ. უკვე ტრანსპორტით შეგვიძლია როგორც საშენი მასალის შეტანა, ასევე ქვა-ღორღის გაზიდვა, მალე ამ გზაზე ფილაქანს დავაგებთ და ძველებური ფარნებითაც გავანათებთ ქუჩას, რომელსაც „ნარიყალას აღმართი" დავარქვით.

უკვე შესრულებულია სამუშაოს გარკვეული ნაწილი, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენ ხელთა გვაქვს პორუჩიკ ჩუიკოს 1800 წელს შედგენილი ნარიყალას გეგმა, რომლის მიხედვითაც ვცდილობთ დაგეგმარების სტრუქტურის წარმოჩენას; ამჟამად ორმაგი კედლის პირველადი კედლის აღდგენაზე დიდი მონდომებით შრომობენ ნუგზარ ჩიგოშვილი, ლევან ობოლაძე, ნუკრი სანიკიძე, ანატოლი გოგოხია, ჯემალ ბეგაძე, ავთანდილ ლომიძე, ნოდარ ბახტურიძე, ლერი ციცხვაია, ბორის თოფურია, თემურ ამაშუკელი, ლერი ბიწაძე, რომან მაღრაძე, ზურაბ ვახტანგაძე, ამირან ძიძიგური, თემურ მოძღვლიძე, რეზო გიორგაძე და სხვები. ჩვენს ჯგუფთან ერთად მუშაობენ აგრეთვე ბადრი ქარაია, ზურაბ წიკლაური, მერაბ მაღრაძე, ირაკლი კალანდაძე, ალეკო მახარაძე და ბესიკ გოგიბერიშვილი; გვეხმარებიან თბილისის სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმის მოსწავლეებიც.

ეს, რაც შეეხება ნარიყალას, მაგრამ... რამდენი ძეგლი გვთხოვს შველას — ვინ უწყის, ვისი ხელით ნაგები და ნალოლიავები!.. ჩვენთვის ხომ აღმშენებელთა უმრავლესობის ვინაობაც კი უცნობია, მათ, „უსახელო უფლისციხელებს", თოლგველებსა თუ ოშკელებს სახელის მოხვეჭაზე არ უფიქრიათ და ჩვენც ყოველგვარი ხმაურისა და თვითრეკლამის გარეშე უნდა ვაკეთოთ საერო საქმე — ვუპატრონოთ და მოვუაროთ ამ მემკვიდრეობას... დღეს ბევრი უჩივის მოუცლელობას, და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ...

ვისაც გული ერჩის, წინ ვერაფერი დაუდგება!

და ბოლოს: მართლაც რომ, მისასალმებელია გაზეთ „კომუნისტის" ინიციატივა, რამაც 13 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს რესპუბლიკური ინსპექციის უფროსის ბადურ კუპრეიშვილის წერილშიც („კვირეული ხომ არა?") ჰპოვა გამოძახილი: „ძეგლის მეგობრის" დღე კი დაწესდა, მაგრამ... კარგი იქნებოდა, ძეგლთა დაცვის კვირეულად გვექცია იგი"...

ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს, ვინც ჰეშმარიტი, ქომაგი და გულშემატკივარია წინაპართა ნაღვაწნადაგისა, მისთვის, დარწმუნებული ვარ, კვირეულიც უმნიშვნელო დროა თავისი წილი ოფლის დასაღვრელად და გულის სითბოს გასაღებად...

ასე რომ, ვინც საქართველოს ისტორიული ძეგლების ბედ-იღბალზე წუხს და ფიქრობს, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, მისთვის ყოველი დღე „ძეგლის მეგობრის" დღე უნდა იყოს! ამიტომაც, ნუ დავიზარებთ, თავისუფალი დრო მოვახმაროთ ძეგლებს — ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება.

ბალათერ არაბული,
ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჟურნალ „ციskრის" დამატების „ნობათის" რედაქტორი.



ჩუქურთმები

ქალაქ თბილისის თოიძის სახელობის მე-11 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში დამთავრდა ხის ჩუქურთმის საუკეთესო რესტავრატორის წოდებისათვის რესპუბლიკური კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვა ეთერ მოსეშვილმა. ქალიშვილები პირველად მონაწილეობდნენ ასეთ შეჯიბრებაში — აქამდე ხის მომჩუქურთმებლის პროფესია მხოლოდ მამაკაცის ხელობად ითვლებოდა; მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მისმა თანატოლმა მაია ციხისთავმა.

ქვის ჩუქურთმაში პირველი ადგილი დაიკავა ამავე სასწავლებლის მოსწავლემ ზაზა მეგრელიშვილმა. თბილისის, ქუთაისისა და თელავის რაიონის და სოფელ იყალთოს ახალგაზრდების გარდა — კონკურსში მონაწილეობდნენ ქალაქ ბრატისლავის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლიდან ჩამოსული მათი მეგობრები, რომლებიც თბილისში არიან პრაქტიკაზე. ისინი თან წაიღებენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებს.

საკონკურსო პროგრამისათვის არჩეული იყო ქვისა და ხის ჩუქურთმები, რომლებიც ძველი ქართული არქიტექტურისათვის ტრადიციულია. წარსულის ძვირფასი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღდგენის ოსტატებს ელიან რესპუბლიკის ყველა კუთხეში — მაღალია საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის რესტავრატორთა დიპლომების პრესტიჟი. (საქინფორმი).

არ გამოგრჩეთ რადიოხიდი

2 ივნისს ნუ იჩქარებთ დაძინებას. 23 საათზე საკავშირო რადიოს მესამე პროგრამით მოეწყობა „მოსკოვი-ვაშინგტონი" რადიოხიდის პირდაპირი გადაცემა. ორმხრივი ურთიერთობის დარგში საბჭოთა და ამერიკელი ექსპერტები წარმართავენ სხვა-ბაბს უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგების შესახებ.

თქვენ შესაძლებლობა გექნებათ გადაცემის მონაწილეებს ტელეფონით დაუსვათ კითხვები. აი ნომრები მოსკოველთათვის: 233-69-05; 233-62-07.

სხვა ქალაქების მცხოვრებთათვის — 233-69-19; 233-62-75; 233-66-07. (საქდესი).

ვ. ვარაზაშვილი



გარდაიცვალა 1932 წლიდან სკკპ წევრი, ოციანი წლების კომკავშირელი, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პარტიის, კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის ყოფილი მინისტრი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე **ვარაზაშვილი.**

ვ. ვარაზაშვილი დაიბადა 1905 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ მუხლში.

1925 წელს ქუთაისის პირველი 9-წლიანი შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჭიათურის მანგანუმის საბადოებში მუშად. 1926 წლიდან მუშაობას იწყებს ბორჯომის საკასრე ქარხნის მშენებლობაზე, საიდანაც სასწავლებლად გაგზავნეს თბილისის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში.

ვ. ვარაზაშვილმა განვლო სახელოვანი შრომითი გზა რიგითი ინჟინრიდან რესპუბლიკის მინისტრამდე.

1966 წელს ვ. ვარაზაშვილი აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1967 წელს ირჩევენ საქართველოს სსრ მე-7 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებული იყო წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, ერთგული კომუნისტის, ჩინებული სპეციალისტის და შესანიშნავი ადამიანის ვ. ვარაზაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, სატყეო-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

ტელევიზია — კვირა, 29 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 12.30 — „დიალოგი მშვიდობაზე". ამერიკის მჭევრმეტყველების ხელოვნების ასოციაციის წარმომადგენელთა შეხვედრა საბჭოთა ახალგაზრდობასთან. 14.00 — სოფლის საათი. 14.55 — რეპორტაჟი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ამერიკის პრეზიდენტის რ. რეიგანის ჩამოსვლის შესახებ. 16.30 — ინგლისური სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიცოცხლე დედამიწაზე". მე-13 ფილმი. 17.25 — მულტფილმი. 19.00 — საესტრადო კონცერტი. 19.45 — მულტფილმი. 20.50 — მხატვრული ფილმი „შემეწიე, თილისმავ". 22.00 — „ვრემია". 22.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.10 — კონცერტი. ჯ. გერშვინის ნაწარმოებები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ჩვენი ბაღი. 9.50 — პორტრეტები. მ. ლერმონტოვი. ცხოვრება და შემოქმედება. 10.50 — კინოალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 11.50 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. ჟურნალი „ტელეეკო". 12.20 — „ვარსკვლავი". სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი მოსწავლეებისათვის. 13.15 — „გაკვეთილზე მასწავლებელთან..." (ქ. შატალოვის გაკვეთილები). 13.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 14.25 — გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება. ვლადიმერ ბეხტერევი. 15.00 — ა. არბუზოვი. „გამარჯვებული". ფილმ-სპექტაკლი. 17.10 — მსოფლიო კინოკამერაში. 18.05 — მღერის და ცეკვავს „ჩეპენა". 18.35 — დოკუმენტური ფილმი „გერცენი". „ჭეშმარიტებისათვის". 19.05 — „თოჯინების თეატრის სამყარო". 19.55 — დოკუმენტური ტელეფილმი „დნესტრის ესკიზები". 20.10 — საშემსრულებლო ხელოვნება. შეხვედრა მ. პლეტნიოვთან. შესვენებისას — 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „იხვის კაკანათი". 0.05 — ბალტიისპირეთის ქვეყნების მეგობრობის ველორბოლა.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.10 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 9.20 — საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 9.40 — დილის საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „დილა მშვიდობისა!" 10.30 — კინოაფიშა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 12.00 — „ჯანმრთელი რომ ვიყოთ". 12.30 — „დიალოგი მშვიდობაზე". 13.30 — საკვირაო გამოფენა. 13.35 — ლიტერატურული თეატრი. „საქორწილო მუსიკა". 14.40 — საკვირაო გამოფენა. 14.45 — სპორტული გადაცემა. 15.15 — „ვესტნიკი". 16.15 — საკვირაო გამოფენა. 16.20 — კინომოზაიკა. 17.00 „ახალგაზრდული კინო. თ. ბაბლუანი. 18.10 — მეგობრობა გზად და ხიდად. ტომსკის ტელევიზიის პროგრამა. 19.40 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სტუდია „დიალოგი" (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის საკითხები). 21.35 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.10 — „მეგობრების წრეში" (ქართულ-რუსული თეატრალური კონტაქტების შესახებ).

საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 5-56-36; თელავი — 3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 25-82.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14

ტელეფონები: ცნობებისათვის — 93-95-54; მშრომელთა წერილების განყოფილება — 93-73-24

რედაქტორის მოადგილე **დ. იოსელიანი**